სს „საპარტნიორო ფონდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	6
ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება	9
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

შპს „KPMG საქართველო“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „საპარტნიორო ფონდის“
სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „საპარტნიორო ფონდის“ (შემდგომში „ფონდი“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ფონდის არაკონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის არაკონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და არაკონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „მმართველობით ანგარიშზე“. ჩვენი დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს „მმართველობითი ანგარიშს“.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

შპს „KPMG საქართველო“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,
„KPMG“-ის ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარიულ
ორგანიზაციაში „KPMG International Cooprative („KPMG International“).

ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მტკიცებულებას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობითი ანგარიში და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია და შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფონდის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი მიდგომის გამოყენება მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ფონდის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ ფონდის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მიმოხილვაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

– ვახდენთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ფონდის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ფონდის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს ფონდის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG საქართველო“
17 იანვარი, 2020 წელი

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ფონდის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ფონდის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს ფონდის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG საქართველო“
17 იანვარი, 2020 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017 *
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	52,631	28,173
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	9	1,480,097	2,133,266
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	10	112,726	70,498
საკრედიტო მოთხოვნები	11	35,254	6,581
გრძელვადიანი აქტივები		**1,680,708**	**2,238,518**
საკრედიტო მოთხოვნები	11	8,235	1,661
დივიდენდის მოთხოვნები		3,234	-
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		379	884
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	93,583	255,159
მიმდინარე აქტივები		**105,431**	**257,704**
სულ აქტივები		**1,786,139**	**2,496,222**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		100,000	100,000
მესაკუთრის შენატანები		2,663,531	2,592,067
დაგროვილი დეფიციტი		(1,256,224)	(575,294)
სულ კაპიტალი		**1,507,307**	**2,116,773**
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	14	34,205	255,668
გრძელვადიანი ვალდებულებები		**34,205**	**255,668**
სესხები და კრედიტები	14	239,220	120,899
სხვა ვალდებულებები		5,407	2,882
მიმდინარე ვალდებულებები		**244,627**	**123,781**
სულ ვალდებულებები		**278,832**	**379,449**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**1,786,139**	**2,496,222**

* ფონდმა თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის შერჩეული მეთოდის შედეგად, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 5.

’000 ლარი	შენიშვნა	2018	2017*
საინვესტიციო შემოსავალი			
შემოსავალი დივიდენდებიდან	6	80,377	27,337
მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების ამონაგების წილი (მოგების გადასახადის გამოკლებით)		(500)	3,995
სხვა საინვესტიციო შემოსავალი		7,632	-
სულ საინვესტიციო შემოსავალი		**87,509**	**31,332**
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(4,275)	(4,151)
ცვეთა და ამორტიზაცია		(714)	(611)
გაუფასურების ზარალი შვილობილ საწარმოებში ინვესტიციებზე	9	(722,788)	(461,414)
გაუფასურების ზარალი საკრედიტო მოთხოვნებზე	16(c)(ii)	(14,415)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,268)	(2,369)
სხვა შემოსავალი		425	-
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		**(656,526)**	**(437,213)**
ფინანსური შემოსავალი	7	10,714	19,325
ფინანსური ხარჯები	7	(33,871)	(32,282)
წმინდა ფინანსური ხარჯები		**(23,157)**	**(12,957)**
ზარალი დაბეგვრამდე		**(679,683)**	**(450,170)**
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,247)	-
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(680,930)**	**(450,170)**

* ფონდმა თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის შერჩეული მეთოდის შედეგად, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 5.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 17 იანვარს შემდეგი პირების მიერ:

დავით საგანელიძე
გენერალური დირექტორი

გიორგი ციმაკურიძე
ფინანსური დირექტორი

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017*
საინვესტიციო შემოსავალი			
შემოსავალი დივიდენდებიდან	6	80,377	27,337
მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების ამონაგების წილი (მოგების გადასახადის გამოკლებით)		(500)	3,995
სხვა საინვესტიციო შემოსავალი		7,632	-
სულ საინვესტიციო შემოსავალი		**87,509**	**31,332**
საოპერაციო ხარჯები			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(4,275)	(4,151)
ცვეთა და ამორტიზაცია		(714)	(611)
გაუფასურების ზარალი შვილობილ საწარმოებში ინვესტიციებზე	9	(722,788)	(461,414)
გაუფასურების ზარალი საკრედიტო მოთხოვნებზე	16(c)(ii)	(14,415)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,268)	(2,369)
სხვა შემოსავალი		425	-
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		**(656,526)**	**(437,213)**
ფინანსური შემოსავალი	7	10,714	19,325
ფინანსური ხარჯები	7	(33,871)	(32,282)
წმინდა ფინანსური ხარჯები		**(23,157)**	**(12,957)**
ზარალი დაბეგვრამდე		**(679,683)**	**(450,170)**
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,247)	-
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(680,930)**	**(450,170)**

* ფონდმა თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის შერჩეული მეთოდის შედეგად, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 5.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 17 იანვარს შემდეგი პირების მიერ:

დავით საგანელიძე
გენერალური დირექტორი

გიორგი ციმაკურიძე
ფინანსური დირექტორი

'000 ლარი	საქციო კაპიტალი	მესაკუთრეთა შენატანები	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს (არა-აუდიტირებული)	100,000	2,538,989	(114,823)	2,524,166
სულ სრული ზარალი				
წლის ზარალი	-	-	(450,170)	(450,170)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
არაფულადი აქტივების განაწილება ((იხილეთ შენიშვნა13(c))	-	-	(10,301)	(10,301)
მესაკუთრეთა შენატანები ((იხილეთ შენიშვნა13(b))	-	53,078	-	53,078
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	**100,000**	**2,592,067**	**(575,294)**	**2,116,773**
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	100,000	2,592,067	(575,294)	2,116,773
სულ სრული ზარალი				
წლის ზარალი	-	-	(680,930)	(680,930)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან				
მესაკუთრეთა შენატანები (იხილეთ შენიშვნა 13(b))	-	71,464	-	71,464
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**100,000**	**2,663,531**	**(1,256,224)**	**1,507,307**

* ფონდმა თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის შერჩეული მეთოდის შედეგად, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 5.

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017*
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(680,930)	(450,170)
კორექტირებები:			
შემოსავალში დივიდენდებიდან		(80,377)	(27,337)
მეკავშირე საწარმოებში განხორციელებულ ინვესტიციებზე ამონაგების წილი (მოგების გადასახადის გამოკლებით)		500	(3,995)
სხვა საინვესტიციო შემოსავალი		(7,632)	-
ცვეთა და ამორტიზაცია		714	611
წმინდა ფინანსური ხარჯები		23,157	12,957
გაუფასურების ზარალი შვილობილ კომპანიებში ინვესტიციებზე		722,788	461,414
გაუფასურების ზარალი საკრედიტო მოთხოვნებზე		14,415	-
		(7,365)	**(6,520)**
ცვლილებები:			
სხვა ვალდებულებებში		2,525	2,882
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე		**(4,840)**	**(3,638)**
გადახდილი პროცენტი		(30,502)	(28,886)
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(35,342)**	**(32,524)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული დივიდენდები		77,142	32,218
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(22,414)	-
მიღებული პროცენტი		2,476	11,348
გაცემული სესხების დაფარვა		3,172	28,383
სესხების გაცემა		(48,990)	-
შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების ზრდა		(15,276)	(44,290)
შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების კლება		-	2,194
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების ზრდა		(31,501)	(15,994)
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების კლება		16,083	2,111
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**(19,308)**	**15,970**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
შემოსულობები სესხებიდან		-	10,883
სესხების დაფარვა		(113,878)	(48,239)
შენატანები სააქციო კაპიტალში		1,904	38,540
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**(111,974)**	**1,184**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		**(166,624)**	**(15,370)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		255,159	276,069
სავალუტო კურსში მოძრაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		5,048	(5,540)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	**93,583**	**255,159**

*ფონდმა თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის შერჩეული მეთოდის შედეგად, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 5.

შენიშვნა		გვერდი
1.	ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11
2.	ანგარიშგების საფუძველი	14
3.	სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	14
4.	შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	14
5.	ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში	15
6.	შემოსავალი დივიდენდებიდან	17
7.	ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები	17
8.	ძირითადი საშუალებები	18
9.	ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	19
10.	ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	24
11.	საკრედიტო მოთხოვნები	27
12.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28
13.	კაპიტალი	28
14.	სესხები და კრედიტები	29
15.	სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	30
16.	პირობითი ვალდებულებები	38
17.	დაკავშირებული მხარეები	39
18.	შეფასების საფუძველი	40
19.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	40
20.	ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული	54
21.	შემდგომი მოვლენები	57

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

„საპარტნიორო ფონდის“ (შემდგომში „ფონდი“) საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ფონდის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „საპარტნიორო ფონდი“ (შემდგომში „ფონდი“) წარმოადგენს საქართველოში მოქმედ სააქციო საზოგადოებას.

ფონდი დაფუძნდა 2011 წლის 28 ივნისს, როგორც მთლიანად სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმო „სს საპარტნიორო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ფონდი წარმოადგენს საჯარო სექტორში მოქმედ სპეციალიზებულ საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ; მის მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, საქართველოს პრემიერ მინისტრის თავმჯდომარეობის ქვეშ. ის შეიქმნა საქართველოს ეკონომიკაში ნაკლებ განვითარებულ მრეწველობებში ინვესტიციების ხელშეწყობის და ქვეყანაში ახალი დასაქმების შესაძლებლობების შექმნის მიზნით.

ფონდის ძირითადი საქმიანობა მოიცავს კაპიტალისა და სესხის ფინანსირებას, საქართველოში მოქმედი კერძო და საჯარო სექტორის კომპანიების გარანტირებას უპირატესად ენერგეტიკის, სასოფლო-სამეურნეო, სამეწარმეო და უძრავი ქონების სექტორებში არსებული პროექტებისთვის. შემოსავლის ძირითად წყაროდ მოიაზრება დივიდენდები და საგარანტიო მოსაკრებლები.

ფონდმა მნიშვნელოვან შვილობილ კომპანიებზე კონტროლი მოიპოვა საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წლის 30 ივლისს და 14 აგვისტოს გამოცემული ბრძანებების შემდეგ, რომელთა თანახმადაც სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორის“ წილის 100% და ყოფილი მეკავშირე საწარმოების - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ და სს „საქართველოს რკინიგზის“ დარჩენილი წილი საქართველოს მთავრობამ ფონდის კაპიტალში შეიტანა.

ფონდის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: თამარ მეფის გამზირი №15, 0112, თბილისი, საქართველო. ფონდის სარეგისტრაციო ნომერია: 404404550.

ფონდი მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს მფლობელობაშია, რომელსაც საქართველოს მთავრობა („მმობელი“) წარმოადგენს. დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები აღწერილია მე-17 შენიშვნაში.

(c) ფონდის პორტფელი

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდს პირდაპირი და არაპირდაპირი წილები აქვს შემდეგ ორგანიზაციებში:

სახელწოდება	რეგისტრაციის და ოპერირების ქვეყანა	2018 წილობრივი მონაწილეობა/ ხმის უფლება	2017 წილობრივი მონაწილეობა/ ხმის უფლება	ძირითადი საქმიანობა
სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" და მისი შვილობილი კომპანიები				
სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"	საქართველო	100%	100%	ნავთობისა და ბუნებრივი აირის გაყიდვა, მოპოვება და ექსპლუატაცია და მილსადენების იჯარა
შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური“	საქართველო	100%	100%	კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის ოპერირება
შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური 2“	საქართველო	100%	100%	კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის ოპერირება
GOGC Trading SA	შვეიცარია	100%	100%	ნედლი ნავთობით, ნავთობპროდუქტებით, ნავთობქიმიური ნივთიერებების და სხვა ფართო მოხმარების საქონლით ვაჭრობა
სს „საქართველოს რკინიგზა“ და მისი შვილობილი კომპანიები				
სს „საქართველოს რკინიგზა“	საქართველო	100%	100%	სარკინიგზო გადაზიდვები
შპს „ჯიარ ქონების მართვა“ (ყოფილი შპს „რკინიგზის ქონების მართვა“)	საქართველო	100%	100%	ქონების მართვა და განვითარება
შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ (ყოფილი შპს „ტრანს კავკასიური ტერმინალები“)	საქართველო	100%	100%	საკონტეინერო გადაზიდვები
სს „საქართველოს რკინიგზის მშენებლობა“	საქართველო	100%	100%	სამშენებლო და სხვა პროექტები
შპს „ბორჯომი-ბაკურიანის რკინიგზა“	საქართველო	100%	100%	მგზავრთა ტრანსპორტირება
შპს „Georgia Transit“	საქართველო	100%	100%	სატრანსპორტო მომსახურება
შპს „ჯიარ ტრანზიტი“ (ყოფილი შპს „საქართველოს ტრანზიტი“)	საქართველო	100%	100%	სატრანსპორტო მომსახურება
შპს „ჯიარ სატრანზიტო ხაზი“	საქართველო	100%	100%	სატრანსპორტო მომსახურება
შპს „GR Trans Shipment“	საქართველო	100%	100%	სატრანსპორტო მომსახურება
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და მისი შვილობილი კომპანიები				
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	საქართველო	100%	100%	ელექტროენერგიის განაწილება და გადაცემა
შპს „ენერგოტრანსი“	საქართველო	100%	100%	ელექტროენერგიის გადაცემა
სს „Karcal Energy“	თურქეთი	100%	100%	ელექტროენერგიის გადაცემა
სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი“	საქართველო	100%	100%	ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა
სს „ნენსკრა“	საქართველო	-	100%	ჰიდრო-ელექტრო სადგურის მშენებლობა და ოპერირება
შპს „პროექტი“	საქართველო	100%	100%	თვითმფრინავების სათადარიგო ნაწილების წარმოება
შპს „თბილისის ლოგისტიკის ცენტრი“ და მისი შვილობილი კომპანიები				
შპს „თბილისის ლოგისტიკის ცენტრი“	საქართველო	100%	100%	კვების სერვისები
შპს „ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის კომპანია“	საქართველო	100%	100%	ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი
შპს „ქართული პროდუქტი“	საქართველო	100%	100%	ტურიზმის განვითარება
შპს „შავი ზღვის პორტი“	საქართველო	100%	100%	პორტის მშენებლობა და ოპერირება
შპს „ლაგოდეხის სავაჭრო კომპანია“	საქართველო	100%	100%	ლაგოდეხში სავაჭრო მოლის მშენებლობა და იჯარით გაცემა
სს „Panex“	საქართველო	49%	49%	სამშენებლო მასალების მრეწველობა

სახელწოდება	რეგისტრაციის და ოპერირების ქვეყანა	2018 წილობრივი მონაწილეობა/ ხმის უფლება	2017 წილობრივი მონაწილეობა/ ხმის უფლება	ძირითადი საქმიანობა
სს „თელასი“	საქართველო	24.53%	24.53%	ელექტროენერგიის ყიდვა და განაწილება სამეწარმეო და რეზიდენტ მომხმარებლებზე თბილისში
შპს „კლინიკების განვითარების კომპანია“ და მისი შვილობილი კომპანიები				
შპს „კლინიკების განვითარების კომპანია“	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი შვილობილი კომპანიების მართვა
შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო“	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურება
შპს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურება
შპს „ნიკოლოზ ყიფშიძის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურება
სს „Aerostructure Technologies Cyclone“	საქართველო	66%	66%	თვითმფრინავის სათადარიგო ნაწილების წარმოება
სს „Vanric Agro“	საქართველო	49%	49%	ხილის ექსპორტი
შპს „რუხის სავაჭრო ცენტრი“	საქართველო	100%	100%	სავაჭრო მოლის მშენებლობა და ოჯარით გაცემა
შპს „სტარტაპ საქართველო“	საქართველო	100%	100%	ვენჩურული კაპიტალი
შპს „იმერეთი გრინერი“	საქართველო	46.34%	46.34%	სოფლის მეურნეობა/საფერმერო საქმე
შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა „Caucasus Clean Energy I“	გაერთიანებული სამეფო	10%	10%	საინვესტიციო ფონდი
შპს „საქართველოს ინდუსტრიული და რეგიონალური განვითარების კომპანია“	საქართველო	100%	100%	საინვესტიციო ფონდი, რომელიც ინვესტიციას ახორციელებს საქართველოს რეგიონალურ განვითარებაში
შპს „ლიკანი რეზიდენსი“	საქართველო	100%	100%	ლიკანში რომანოვების სასახლის რესტავრაცია
შპს „Global Brand“	საქართველო	100%	100%	ღვინის ექსპორტი აშშ-ში
შპს „ინფრასტრუქტურული განვითარების პარტნიორობის კომპანია“	საქართველო	100%	100%	ინვესტიციების განხორციელება ანაკლიის პორტის პროექტში
შპს „წინანდალი ისთეითსი“	საქართველო	45.51%	45.51%	სასტუმრო და სპა-კურორტი სოფელ წინანდალში
Gazelle Fund LP	კანადა	29.10%	29.10%	საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია საქართველოში და სომხეთში წარმომადგენლობითი ოფისით
შპს „ლოპოტა“	საქართველო	-	37.78%	სასტუმრო და სპა-კურორტი ლოპოტას ტბაზე
შპს „იტონგ კავკასუს“	საქართველო	28.9%	28.9%	სამშენებლო მასალების წარმოება
საპარტნიორო ფონდი - შპს „Green Development“ და მისი შვილობილი კომპანიები				
საპარტნიორო ფონდი - შპს „Green Development“	საქართველო	100%	100%	უძრავი ქონების განვითარება
შპს „ჯინო გრინ სიტი კორპორაცია“	საქართველო	49%	49%	უძრავი ქონების განვითარება
შპს „East West Bridge“	საქართველო	100%	100%	საინვესტიციო ფონდის ფლობა
სს „Nenskra Hydro“	საქართველო	6.99%	-	ჰიდროელექტროსადგურის განვითარება
შპს „Caucasian SUS Heritage“	საქართველო	49.90%	-	ღორების ფერმა
შპს „KMG Service Georgia” და მისი შვილობილი კომპანიები	საქართველო	100%	-	სასტუმროს მართვა
სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“	საქართველო	100%	50%	სასტუმროს მშენებლობა და ოპერირება
შპს „ჯორჯიან ნატურალ პროდაქტ“	ბელორუსია	100%	-	ღვინისა და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის ექსპორტი

ფონდის ყველა მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანია და ინვესტიციის ობიექტი მეკავშირე საწარმო, ქართულ სააქციო საზოგადოებებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს წარმოადგენენ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ანგარიშგების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" („ფასს”) შესაბამისად. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ხელმძღვანელობის მიერ სარგებლობისთვის, ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 17 იანვარს. დეკემბერს დამტკიცებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, და 2016 წლის 24 ივნისს გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ, შესაბამისად.

ეს არის ფონდის პირველი წლიური ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება სადაც გამოყენებულია ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ და ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“.

ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში მე-5 შენიშვნაში არის აღწერილი.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ფონდის სამუშაო ვალუტას და, შესაბამისად, ვალუტას რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. გადახედილი სააღრიცხვო შეფასებების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა შეფასებების გადახედვა და ყველა იმ მომავალ პერიოდში, რომლებზეც ამან გავლენა მოახდინა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 15 (c) (ii) – საკრედიტო მოთხოვნების გაუფასურება;
- შენიშვნა 9 - შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების გაუფასურება;
- შენიშვნა 9 - სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“-ს შეძენა;
- შენიშვნა 9 - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონტროლის შეფასება.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებასთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 9 - შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების გაუფასურება.
- შენიშვნა 15 (c) - ფინანსურ აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ფონდის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ფონდი შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეების მიხედვით, რომელიც ეფუძნება შეფასების მეთოდებში გამოყენებულ შემავალ მონაცემებს, ესენია:

- *დონე 1*: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.
- *დონე 2*: შემავალი მონაცემები გარდა პირველ დონეში განსაზღვრულისა, რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე - ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3*: შემავალი მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული შემავალი მონაცემები შესაძლოა დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

ფონდი აღიარებს გადატანებს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 15(a) - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

ფონდმა ფასს 15 (იხ. (a)) და ფასს 9 (იხ. (b)) თავდაპირველად 2018 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. რიგი სხვა ახალი სტანდარტებიც შევიდა ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არ იქონიეს არსებითი ზეგავლენა ფონდის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფონდის მიერ ამ სტანდარტების გამოყენებისას შერჩეული გადასვლის მეთოდებიდან გამომდინარე, შესადარისი ინფორმაცია მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში არ არის გადაანგარიშებული ახალი სტანდარტების მოთხოვნების ასახვის მიზნით.

მოცემული სტანდარტების თავდაპირველი გამოყენების გავლენა ძირითადად გამოწვეულია ფინანსურ აქტივებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის ზრდით (იხილეთ B(ii)).

A. ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. მან ჩაანაცვლა ბასს 18 *შემოსავალი,* ბასს 11 *სამშენებლო ხელშეკრულებები* და ამასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებები. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც მომხმარებელს გადაეცემა საკუთრების უფლება საქონელზე ან მომსახურებაზე. საკუთრების გადაცემის მომენტის დასადგენად - დროის გარკვეულ მომენტში თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში - სჭირდება განსჯა.

ფონდმა ფასს 15-ის გამოყენება კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით დაიწყო (პრაქტიკული მიზანშეწონილობის გარეშე). მოცემული სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების გავლენა აღიარდება 2018 წლის 1 იანვარს. რადგან ფონდის შემოსავალი მოიცავს მხოლოდ საინვესტიციო შემოსავალს რომელიც ფასს 15-ის მასშტაბებს გარეთ მდებარეობს, 2018 წლის 1 იანვრისთვის გადასვლას არ ჰქონია გავლენა ფონდის კაპიტალზე.

B. ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები*

ფასს 9 აწესებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების, და ზოგიერთი არა-ფინანსური აქტივების შესყიდვა/გაყიდვის ხელშეკრულებების, აღიარების და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს *ფინანსური ინსტრუმენტები აღიარება და შეფასება.*

ფასს 9-ის გამოყენების შედეგად, ფონდმა შესაბამისი კორექტირებები შეიტანა ბასს 1-ში *ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.* ეს კორექტირება მოითხოვს, რომ სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება მოგების ან ზარალის უწყისში და სხვა სრულ შემოსავალში ასახული იყოს ცალკე კატეგორიად. ადრე ფონდის მიდგომა იყო ფინანსური აქტივები გაუფასურების „ფინანსურ ხარჯებში“ ასახვა. ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არსებითობიდან გამომდინარე. თუმცა, ფონდს არ ჰქონდა გაუფასურების ზარალი, ბასს 39-ის ფარგლებში მის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალურ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში , შესაბამისად არ არსებობდა 2017 წლის 31 დკეემბრით დასრულებული წლისთვის, რეკლასიფიკაციის აუცილებლობა ინდივიდუალურ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ფონდმა, 14,415 ათასი ლარის ოდენობით, გაუფასურების ზარალი სასესხო მოთხოვნებზე ცალკე ასახა მის ინდივიდუალურ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, 2018 წელს.

ფასს 9-ზე გადასვლას 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დაგროვილ დეფიციტზე გავლენა არ ჰქონია.

(i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა

ფასს 9 მოიცავს სამ ძირითად კლასიფიკაციის კატეგორიას ფინანსური აქტივებისათვის: ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ძირითადად დაფუძნებულია იმ ბიზნეს მოდელზე რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივის სამართავად და მის სახელეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. ფასს 9 აუქმებს ბასს 39 -ს დროს გამოყენებულ კატეგორიებს როგორიცაა ხანდაზმულობის ვადის მიხედვით, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად ხელმისაწვდომი. ფასს 9-ის მიხედვით, ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლის საგანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, სტანდარტის მიზნებისთვის არ განცალკევდება. ნაცვლად ამისა, კლასიფიკაციის მიზნებისათვის ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი როგორც ერთი მთლიანობა.

ფასს 9 ძირითადად ინარჩუნებს ბასს 39-ში არსებულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და აღრიცხვასთან მიმართებაში.

ახსნა-განმარტებებს თუ როგორ აღრიცხავს და აკლასიფიცირებს ფონდი ფინანსურ ინსტრუმენტებს, აღრიცხავს ცვლილებებს და შესაბამის შემოსულობასა და ზარალს ფასს 9-ს მიხედვით, იხილეთ შენიშვნა 19 (k).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სასესხო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები რომლებიც ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირებული იყო როგორც სესხები და მოთხოვნები, ეხლა კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფასს 9-ის გამოყენებას არ ჰქონია არსებითი გავლენა ფონდის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებულ სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ს „გაწეული ზარალის“ მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (მსზ) მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ვრცელდება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით შეფასებულ სახელშეკრულებო აქტივებზე და ვალის ინვესტიციებზე, მაგრამ არა ინვესტიციებზე კაპიტალის ინსტრუმენტებში. ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალი აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის გამოყენებისას.

ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის მიზნებისათვის აქტივების გაუფასურების ზარალი მოსალოდნელია გაიზარდოს და გახდეს უფრო არასტაბილური. ფონდმა დაადგინა, რომ ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ იწვევს დამატებით გაუფასურების რეზერვს.

დამატებითი ინფორმაცია თუ როგორ აფასებს ფონდი გაუფასურების რეზერვს აღწერილია შენიშვნაში 19 (m) (i).

(iii) გადასვლა

ფონდმა გამოიყენა წინა პერიოდებთან კლასიფიკაციასა და აღრიცხვასთან (გაუფასურების ჩათვლით) მიმართებაში შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნისაგან გათავისუფლების უფლება. მაშასადამე, შესადარისი პერიოდები არ არის ასახული. შესაბამისად, 2017 წელს წარმოდგენილი ინფორმაცია ზოგადად არ ასახავს ფასს 9-ის მოთხოვნებს, არამედ უფრო ბასს 39-ისას.

6. შემოსავალი დივიდენდებიდან

’000 ლარი	2018	2017
სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“	77,142	27,313
სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი“	3,235	24
შემოსავალი დივიდენდებიდან	**80,377**	**27,337**

7. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

’000 ლარი	2018	2017
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდით	10,714	14,967
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	-	4,358
ფინანსური შემოსვაალი	**10,714**	**19,325**
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	(31,753)	(32,282)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(2,118)	-
ფინანსური ხარჯები	**(33,871)**	**(32,282)**
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	**(23,157)**	**(12,957)**

8. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა	შენობა	სხვა	სულ
თვითღირებულება ან პირობითი ღირებულება				
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს (არა-აუდიტირებული)	108,227	17,795	1,523	127,545
შესყიდვები	13,689	-	535	14,224
გაყიდვები	(111,650)	-	(370)	(112,020)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	**10,266**	**17,795**	**1,688**	**29,749**
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	10,266	17,795	1,688	29,749
შესყიდვები	24,342	6,377	2,412	33,131
გაყიდვები	(5,636)	-	(2,323)	(7,959)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**28,972**	**24,172**	**1,777**	**54,921**
ცვეთა და გაუფასურების ზარალი				
ნაშთი 2017 წლის 1 იანავრს (არა-აუდიტირებული)	-	(5)	(917)	(922)
წლის ცვეთა	-	(354)	(300)	(654)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(359)**	**(1,217)**	**(1,576)**
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	-	(359)	(1,217)	(1,576)
წლის ცვეთა	-	(453)	(261)	(714)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(812)**	**(1,478)**	**(2,290)**
საბალანსო ღირებულებები				
ნაშთი 2017 წლის 1 იანავრს (არა-აუდიტირებული)	108,227	17,790	606	126,623
2017 წლის 31 დეკემბერს	**10,266**	**17,436**	**471**	**28,173**
2018 წლის 31 დეკემბერს	**28,972**	**23,360**	**299**	**52,631**

(a) კაპიტალში შენატანები:

საქართველოს მთავრობა კონკრეტულ ძირითად საშუალებებს ფონდს გადასცემს კაპიტალში შენატანის სახით. 2018 და 2017 წლებში კაპიტალში შენატანმა შეადგინა აქტივების სამართლიანი ღირებულება 5,895 ათასი და 14,204 ათასი ლარის ოდენობით (შესაბამისად).

(b) შესყიდვები:

შესყიდვები, 2018 წელს ფონდისთვის, შპს „KMG Service Georgia”-ს ბიზნეს შეძენის შედეგად შეძენილ, გადაცემულ, 18,677 ლარის ღირებულების, მიწის ნაკვეთების სამართლიან ღირებულებას მოიცავს (იხ. შენიშვნა 9 (b)).

(c) გაყიდვები:

2018 წელს გაყიდვები მოიცავდა ფონდის მიერ მისი შვილობილი კომპანიების სააქციო კაპიტალში განხორციელებულ შენატანებს ძირითადი საშუალებების სახით 5,895 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელს: 112,020 ათასი ლარი).

9. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

შვილობილი საწარმო	წილობრივი მონაწილეობა 2018	წილობრივი მონაწილეობა 2017	ბიზნეს საქმიანობა	ნაშთი 31.12.2017 წელს	შენატანი	გატანა	გაუფასურება	ნაშთი 31.12.2018 წელს
სს "საქართველოს რკინიგზა"	100%	100%	ტრანსპორტირება	1,244,848	2,495	-	(718,127)	529,216
სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"	100%	100%	ნავთობით და ბუნებრივი აირით ვაჭრობა, მილსადენების ოჯარა	543,339	1,679	-	-	545,018
შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური“	100%	100%	თერმული ელექტროსადგურის ოპერირება	85,617	-	-	-	85,617
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	100%	100%	თერმული ელექტროსადგურის ოპერირება	-	3,625	-	(3,625)	-
სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი“	100%	100%	ელექტროენერგიის ტრანზიტი	4,461	-	-	-	4,461
შპს „Partnership Fund Green Development“	100%	0%	უძრავი ქონების განვითარება	-	63,695	-	-	63,695
სს „ნენსკრა“	0%	100%	ჰიდროელექტროსადგურის ოპერირება	23,743	10	(23,753)	-	-
შპს „თბილისის ლოგისტიკის ცენტრი“	100%	100%	კვების სერვისები	-	150	(33)	(117)	-
შპს „შავი ზღვის პორტი“	100%	100%	პორტის მშენებლობა და ოპერირება	-	-	-	-	-
შპს „ლაგოდეხის სავაჭრო კომპანია“	100%	100%	სავაჭრო მოლის მშენებლობა და ოჯარით გაცემა	278	7	(7)	-	278
შპს „რუხის სავაჭრო ცენტრი“	100%	100%	სავაჭრო მოლის მშენებლობა და იჯარით გაცემა	-	8	-	(8)	-
სს „Aerostructure Technologies Cyclone“	66%	66%	თვითმფრინავის სათადარიგო ნაწილების წარმოება	93,246	-	-	-	93,246
შპს „სტარტაპ საქართველო“	100%	100%	ვენჩურული კაპიტალი	-	911	-	(911)	-
შპს „საქართველოს ინდუსტრიული და რეგიონალური განვითარების კომპანია“	100%	100%	საინვესტიციო ფონდი, საქართველოს რეგიონალურ განვითარებაში ინვესტირება	484	963	-	-	1,447
შპს „ლიკანი რეზიდენსი“	100%	100%	ლიკანში რომანოვების სასახლის რესტავრაცია	543	772	-	-	1,315
შპს „Global Brand“	100%	100%	ღვინის ექსპორტი აშშ-ში	1,545	2,455	-	-	4,000
შპს „კლინიკების განვითარების კომპანია“	100%	100%	ჯანდაცვის სფეროს შვილობილი კომპანიების მართვა	135,162	3,226	-	-	138,388
შპს „Georgian Natural Products”	100%	0%	ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი	-	143	-	-	143
შპს „KMG Service Georgia”	100%	0%	სასტუმროს მართვა	-	13,278	(5)	-	13,273
სულ				**2,133,266**	**93,417**	**(23,798)**	**(722,788)**	**1,480,097**

შენიშვნა 1-ში წარმოდგენილი ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში რომლებიც ზემოთ არ არის განმარტებული წარმოადგენს ქაღალდის კომპანიებს, საქმიანობის გარეშე.

(a) მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები

სს „საქართველოს რკინიგზა“ დაფუძნდა სახელმწიფოს საკუთრების ქვეშ მყოფი საწარმოს სახით 1998 წლის დეკემბრის თვეში, როგორც საქართველოში სარკინიგზო ტრანსპორტირების მომსახურების გამწევი პირი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება №929-ის საფუძველზე. სს „საქართველოს რკინიგზის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქვეყანაში სარკინიგზო სისტემის ფუნქციონირება, სატვირთო და სამგზავრო ტრანსპორტირების მომსახურების გაწევის, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურებისა და განვითარების და ასევე საქართველოში სარკინიგზო ხაზების მშენებლობის გზით.

2018 წლის 31 დეკემბერს ხელმძღვანელობამ მოახდინა იდენტიფიცირება ინდიკატორისა, რომ ინვესტიცია სს „საქართველოს რკინიგზაში“ შესაძლოა გაუფასურებული ყოფილიყო, სს“საქართველოს რკინიგზაში“ ძირითადი საშუალებების გაუფასურების გამო, გადაზიდული ოდენობების (5,899 მილიონი მეტრული ტონა კილომეტრზე ტვირთის მოცულობა 2012 წელს, 2,747 მილიონი მეტრული ტონა კილომეტრზე ტვირთის მოცულობამდე 2018 წელს) და ტვირთის გადაზიდვიდან მიღებული შემოსავლის (350,749 ათასი ლარიდან 2012 წელს, 241,572 ათას ლარამდე 2018 წელს) მნიშვნელოვანი კლების გამო. ინვესტიცია განისაზღვრა სს „საქართველოს რკინიგზის“ კაპიტალის ნაშთის 100%-ს, სს „საქართველოს რკინიგზის“ ფასს-ების შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების (2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის) მიხედვით. სს „საქართველოს რკინიგზის“ კაპიტალის ნაშთმა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 529,216 ათასი ლარი. შედეგად, ფონდმა 2018 წელს აღიარა გაუფასურების ზარალი 718,127 ათასი ლარის ოდენობით.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ დაფუძნდა სახელმწიფოს საკუთრების ქვეშ მყოფი საწარმოს სახით საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 2006 წლის 21 მარტის ბრძანებით, სამი სახელმწიფო კომპანიის (სს „საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაცია“, სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“ და სს „თელეთის ნავთობის კომპანია“) საფუძველზე. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუნებრივი აირის იმპორტირება და გაყიდვა, გაზისა და ნავთობის მილსადენების იჯარა, ნავთობისა და გაზის ექსპლოატაცია და მოპოვება საქართველოს ტერიტორიაზე. 2006 წლის დეკემბერში, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ საპრეზიდენტო ბრძანება №736-ით მიენიჭა „ეროვნული ნავთობის კომპანიის“ სტატუსი და ის მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს სახელით, იღებს და ყიდის მოპოვებული ნავთობის სახელმწიფოს წილს და საქართველოს ტერიტორიაზე შემსრულებლების მიერ ნავთობისა და ბუნებრივი აირის შესახებ საქართველოს კანონის და სახელმწიფოსა და შემსრულებლებს შორის გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესაბამისად წარმოებულ ბუნებრივ აირს. 2013 წლის ოქტომბერში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ და სს „საპარტნიორო ფონდმა“ შექმნეს ახალი შვილობილი კომპანია - შპს „გარდაბნის თბოსადგური“ შესაბამისი 51% და 49%-იანი წილებით. საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100,000 ათასი აშშ დოლარით. გადახდილმა საწესდებო კაპიტალმა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 175,185 ათასი ლარი შეადგინა (2017: 175,185 ლარი). შვილობილი კომპანია შეიქმნა გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტრო სადგურის (CCPP) მშენებლობისა და ოპერირების მიზნით. სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2015 წლის ივლისში. გარდაბნის კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურმა შემოსავლის მოტანა დაიწყო 2015 სექტემბრის თვიდან.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ 2002 წლის 12 ნოემბერს, სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის საფუძველზე და წარმოადგენს მათ კანონიერ უფლებამონაცვლეს. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მთავარი შვილობილია შპს „ენერგოტრანსი“, სახელმწიფო საწარმოს სახით 2002 წელს დაფუძნებული პირი. სს „საქართველოს სახელმწიფო

ელექტროსისტემის“ და მისი შვილობილი კომპანიების ძირითადი საქმიანობა მოიცავს ელექტროენერგიის გადაცემას და მიწოდებას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, რომელიც რეგულირდება ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის შესახებ კანონით, და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან მიღებული ლიცენზიების საფუძველზე. შპს „ენერგოტრანსი“ ფლობს ვარძიის და ზეკარის 500 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზებს და მესხეთი-თურქეთის დამაკავშირებელ 400 კვ-იან ხაზს, რომელიც აშენდა „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის“ (BSTN) შემადგენელი ნაწილის სახით. ეს პროექტი დასრულდა 2013 წლის ბოლოს. ახალი გადამცემი ხაზები უზრუნველყოფენ საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის დამატებით უსაფრთხოებას ახალი დასავლეთ-აღმოსავლეთის 500 კვ-იანი ხაზის დამატებით, რითაც შექმნა თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის დამატებით შესაძლებლობა. წარსულში ფინანსური სირთულეების გამო, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მოცემული მომენტისთვის რეაბილიტაციის პროცესს გადის, რომელსაც მართავს მენეჯერი რეაბილიტაციის საკითხებში, სარეაბილიტაციო გეგმის შესაბამისად. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ კონტროლის შეფასების დროს, ხელმძღვანელობამ სხვა საკითხებთან ერთად გაითვალისწინა მისი რეაბილიტაციის პროცესის შეწყვეტის უნარი და სესხის დაფარვის გზით რეაბილიტაციის მენეჯერის მოხსნის შესაძლებლობა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საინვესტიციო ნაშთები სრულად გაუფასურებულია. ინვესტიცია განისაზღვრა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კაპიტალის ნაშთის 100%-ის ოდენობით შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მომზადებული ფასს-ების შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კაპიტალის ნაშთი უარყოფითი 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს გახდა, რამაც შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის განულება გამოიწვია. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ხელმძღვანელობამ გამოავლინა გაუფასურების მთავარი ინდიკატორი, რაც წარმოადგენდა მისი მთავარი შვილობილი კომპანიის - შპს „ენერგოტრანსის“ ძირითადი საშუალებების გაუფასურებას, რადგან 2018 წელს შპს „ენერგოტრანსის“ წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების შემოდინებები, პროგნოზირებულზე დაბალი იყო, რაც ძირითადად, ელექტროენერგიის ტრანზიტიდან მიღებული ბიუჯეტირებული ფულადი ნაკადების ნაკლებობით იყო გამოწვეული. 2018 წელს, წლის განმავლობაში ფონდის მიერ, შვილობილ კომპანიაში განხორციელებულ შენატანებთან მიმართებაში, 3,625 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი იქნა აღიარებული.

სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი“ დაფუძნდა საქართველოში 2006 წლის 1 სექტემბერს, რომლის უპირატეს მიზანს წარმოადგენდა საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა, ელექტროენერგიის იმპორტი და ექსპორტი და საქართველოში ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის გამარტივება.

(b) არა-არსებითი შვილობილი კომპანიები

2015 წლის მარტში ფონდმა, შპს „პროექტმა“ (ფონდის 100%-იანი საკუთრების ქვეშ) და შპს „Elbit Systems - Cyclone“ დააფუძნეს ახალი შვილობილი კომპანია სს „Aerostructure Technologies Cyclone“ 33,33%, 33,33% და 33,34% წილებით (შესაბამისად). მხარეები შეთანხმდნენ შვილობილი კომპანიის დარეგისტრირებაზე 60,000 ათასი აშშ დოლარის სააქციო კაპიტალით.

აქციონერთა ხელშეკრულების შესაბამისად, კონკრეტული გადაწყვეტილებებისთვის საჭიროა ერთპიროვნული შეთანხმება. ხელმძღვანელობის აზრით ფონდს კონტროლი აქვს შვილობილ კომპანიაზე იმის გამო, რომ ის ექვემდებარება (აქვს უფლება) ცვლად ამონაგებს შვილობილ

კომპანიაში მისი ჩართულობიდან და შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებებზე შვილობილ კომპანიაზე მისი მართვის უფლებით. დასკვნა ეფუძნება საკუთრების წილის პროცენტულ მაჩვენებელს და შვილობილი კომპანიის სააქციო ხელშეკრულებას, რომლისთვისაც მოითხოვება ხმების მარტივი უმრავლესობა.

შვილობილი კომპანია შეიქმნა კომერციული (სამოქალაქო) ბაზრისთვის კომპოზიციური აერო-სტრუქტურის პროდუქტების შემუშავებაში, წარმოებაში, გაყიდვასა და მხარდაჭერაში ჩართულობის მიზნით.

2018 წლის 31 დეკემბერს, ხელმძღვანელობამ გამოავლინა ინდიკატორი იმისა, რომ სს „Aerostructure Technologies Cyclone“-ში განხორციელებული ინვესტიცია შესაძლოა გაუფასურებული ყოფილიყო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიას არ დაუწყია ფუნქციონირება, პროექტი კვლავ განვითარების ეტაპზე იმყოფება და ის არ ახდენს შემოსავლის გენერირებას. შვილობილ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურების ანაზღაურებადი ღირებულება ეფუძნებოდა მის გამოყენებულ ღირებულებას, რომელიც განისაზღვრა ზემოთ ხსენებული ინვესტიციიდან გენერირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირების გზით. შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება უფრო მაღალი ოდენობით განისაზღვრა, ვიდრე მისი საბალანსო ღირებულება და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების ზარალი არ აღიარებულა.

სს „Aerostructure Technologies Cyclone“-ში ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები:

- ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხდება ფაქტიურ საოპერაციო შედეგებზე და ფულად ნაკადებზე დაყრდნობით, 2023 წლამდე პერიოდისთვის განსაზღვრული ბიზნეს-გეგმის შესაბამისად, ტერმინალური ღირებულების შემდგომი გაანგარიშებით. წარმოების და წარმოებული აერო-სტრუქტურული პროდუქტების გაყიდვის დაწყება 2019 წლიდან იგეგმება. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ გამართლებულია ფულადი ნაკადების პროგნოზების გამოყენება 5-წლიანი პერიოდისთვის, რადგან, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ 5-წლიანი პერიოდი, მას შემდეგ, რაც სს „Aerostructure Technologies Cyclone“ წარმოებას და გაყიდვებს დაიწყებს, ფულადი ნაკადების სტაბილიზაციის საშუალებას მისცემს. პროგნოზები რეალური პირობებით კეთდება;
- სს „Aerostructure Technologies Cyclone“-ში განხორციელებული ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოიყენება დაბეგვრის შემდგომი რეალური დისკონტირების განაკვეთი 13.59%. დისკონტირების განაკვეთი ასახავს ამონაგების მოთხოვნილ განაკვეთს მსგავსი კომპანიების ინვესტირებულ კაპიტალზე ფულადი ნაკადებისთვის, რომლებიც აშშ დოლარშია გამოსახული. გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი ბიზნეს-გეგმაში განსაზღვრული 5-წლიანი პერიოდისთვის, ხელმძღვანელობამ ნულის ტოლი ოდენობით განსაზღვრა.
- დაგეგმილი ამონაგები მოგების გადასახადის გადახდამდე, ცვეთა და ამორტიზაცია (EBITDA) განისაზღვრა არსებული ოპერაციების ფაქტიური შედეგების საფუძველზე, რომელიც გაიზარდა 2019 წლიდან დაწყებული მოსალოდნელი შემოსავლის გენერირების შედეგად.

გამოსაყენებელი ღირებულების განსასაზღვრად გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლისთვისაც გამოთვლები განსაკუთრებით მგრძნობიარეა, მოიცავს შემდეგს:

- დაბეგვრის შემდგომი რეალური დისკონტირების განაკვეთის 1 პროცენტიანი ზრდა არ გამოიწვევს რაიმე გაუფასურებას, თუმცა ამგვარი ცვლილება 14,545 ათასი ლარით შეამცირებს ანაზღაურებად ღირებულებას.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს ხელმძღვანელობამ გამოავლინა ინდიკატორები იმისა, რომ შემდეგ შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციები შესაძლოა გაუფასურებული ყოფილიყო უარყოფითი EBITDA-ს და საპროგნოზო წმინდა ფულად ნაკადებში მნიშვნელოვანი გადახრის გამო: შპს „თბილისის ლოგისტიკური ცენტრი“, შპს „შავი ზღვის პორტი“, შპს „რუხის სავაჭრო ცენტრი“ და შპს „სტარტაპ საქართველო“. ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულებები ზემოთ ხსენებულ შვილობილ კომპანიებში ნულით განისაზღვრა.

შედეგად, 4,266 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი აღიარდა 2016 წელს ინვესტიციების ღირებულების ნულამდე დასაყვანად. 2018 წელს გაუფასურების ზარალი 1,036 ათასი ლარის ოდენობით (2017: 2,820 ათასი ლარი), აღიარდა ფონდის მიერ წლის განმავლობაში, აღნიშნულ შვილობილ კომპანიებში,განხორციელებულ შენატანებთან მიმართებაში.

2018 წლის 31 დეკემბრით, ზემოაღნიშნულ შვილობილ კომპანიებში ადრე აღიარებული ინვესტიციების გაუფასურების ზარალის აღდგენის ნიშნები არ არსებობს.

2018 წლის ივნისში ფონდმა შპს „KMG Service Georgia”-ს 100%-იანი წილი შეისყიდა. ამ უკანასკნელს, სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალ“-ის 50%-იანი წილი გააჩნია. სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“, სს საპარტნიორო ფონდის და KMG Group-ის (Kazmunaygas Service LLP -სა და შპს „KMG Service Georgia-ს მიერ წარმოდგენილი) მიერ არის დაარსებული, ლიკანის კურორტში მაღალი დონის სასტუმროს მშენებლობის მიზნით, რომელიც საერთაშორისოდ ცნობადი სასტუმროების ბრენდის მიერ იქნება მართული. სასტუმრო 2015 წელს გაიხსნა. შესყიდვის განხორციელებამდე, ფონდი სს „„ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალ“-ის („სასტუმრო“) 50%-ს ფლობდა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიცია სს „„ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალ“-ში კლასიფიცირებულ იქნა როგორც ერთობლივი საწარმო.

შესყიდვის შედეგად, ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში 13,278 ათასი ლარით გაიზარდა, რადგან შეძენილი 50%-იანი წილის სამართლიანი ღირებულების ჯამი 6,620 ათას ლარს შეადგენდა (სხვაობა მთლიან გადახდილ ფულად ანაზღაურებასა (25,297 ათასი ლარი) და სს „საპარტნიორო ფონდზე“ გადაცემულ მიწის ნაკვეთების სამართლიან ღირებულებას შორის 18,677 ათას ლარს შეადგენდა) და ადრე ფლობილი სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალის“ კაპიტალის წილის გადატანა „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებიდან“ 6,658 ათას ლარს შეადგენდა.

2018 წელს, სს „ნენსკრა ჰიდროს“ 12,625,695 ჩვეულებრივი აქციის სანაცვლოდ (მთლიანი აქციების 6.99%-ი), ფონდმა სს „ნენსკრას“ 100%-იანი კაპიტალის წილი გაყიდა. ფონდის მიერ განხორციელებული შენატანები, „Nenskra HPP“ პროექტის ადრეულ სტადიებზე განვითარებულ, მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს მოიცავს, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, 2018 წლის 12 იანვრით დათარიღებული შეფასების ანგარიშით განისაზღვრა. სს „ნენსკრა ჰიდროს“ აქციების უმრავლესობის მფლობელი არის „Korea Water Resources Corporation“ („“K-water”), კორეის რესპუბლიკაში დაარსებული და მოქმედი კომპანია. „K-water“-ის დამფუძნებელს და მის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს კორეის რესპუბლიკის მთავრობა წარმოადგენს.

განხილული გარიგების შედეგად, „ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში“ -მ 31,516 ათასი ლარი შეადგინა და შესაბამისად იქნა აღიარებული (იხილეთ შენიშვნა 10).

13 (ხ) შენიშვნის მიხედვით, 2018 წელს, საქართველოს მთავრობამ, ფონდის კაპიტალში116 თავისუფალი მიწის ნაკვეთის შენატანი განახორციელა. მიწის ნაკვეთები (უპირობოდ ფლობილი) თბილისის ზღვის და ოლიმპიური სოფელის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. აღნიშნული ქონების მთლიანი ფართობია 2,693,344 კვ.მ. თავდაპირველი აღიარებისას, ხელმძღვანელობამ, აღიარა მიწის ნაკვეთები 63,695 ათას ლარად, რაც ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თითო კვადრატულ მეტრზე განსაზღვრული ნორმატიული ფასების მიხედვით იქნა გამოთვლილი. ხელმძღვანელობის შეფასებით, 63,695 ათასი ლარი უახლოვდებოდა მიწის ნაკვეთების

სამართლიან ღირებულებას კაპიტალური შენატანის თარიღისთვის. მიწის ნაკვეთები, „რეკრეაციულ ზონაში“ მდებარეობდა (თბილისის საკრებულოს განმარტებით), რაც მიწის ნაკვეთების კომერციული მიზნებისთვის და ბაზარზე თავისუფალი გაყიდვისთვის გამოყენებას ზღუდავდა; ასევე, საკრებულოს მიერ განსაზღვრული ნორმატიული ფასები, „რეკრეაციულ ზონაში“ მიწის ნაკვეთების ყველაზე მცირე შესაძლო ღირებულებას წარმოადგენდა.

წინა აბზაცში აღწერილი კაპიტალის შენატანის შემდგომ, 2018 წელს ფონდმა, იგივე 116 თავისუფალი მიწის ნაკვეთი მის 100%-იან შვილობილ კომპანიაში შეიტანა: შპს „საპარტნიორო ფონდი გრინ დეველოპმენტში“ (ქონება, ფონდის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ იქნა საინვესტიციო ქონებად).

შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციებიდან, 93,417 ათასი ლარიდან, 5,895 ათასი ლარი შეტანილ იქნა ძირითადი საშუალებების სახით (იხ. შენიშვნა 8 (c)), 63,695 ათასი ლარი - საინვესტიციო ქონების სახით (იხ. ზემოთ), 17,169 ათასი ლარი - ფულადი სახსრების სახით და 6,658 ათასი ლარი „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებიდან“ გადმოტანას წარმოადგენს (სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალ“-თან დაავშირებული (იხილეთ ზემოთ)).

23,798 ათასი ლარის ოდენობით, „ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში“ გატანებიდან, 23,753 ათასი ლარი სს „ნენსკრას“ 100%-ი კაპიტალის წილის გაყიდვას უკავშირდება - გადატანა „ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში“-დან „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“ (იხილეთ ზემოთ).

10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

'000 ლარი	**2018**	**2017**
ნაშთი 1 იანვარს	70,498	57,526
შენატანები მეკავშირე საწარმოებში	65,938	15,994
მოგებაში ან ზარალში აღიარებული ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებშის (მოგების გადასახადი გამოკლებით) კომპანიის მოგების/(ზარალის) წილი	(500)	3,995
მიღებული დივიდენდები	-	(4,906)
კლება ინვესტიციებში მეკავშირე საწარმოებში/ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებში	(23,210)	(2,111)
ნაშთი 31 დეკემბერს	**112,726**	**70,498**

ფონდის არცერთი მეკავშირე საწარმო არ წარმოადგენს საჯაროდ რეგისტრირებულ საწარმოს და შესაბამისად, მათ არ აქვთ გამოცემული ფასის კოტირებები.

მეკავშირე საწარმო	წილობრივი მონაწილეობა 2018	წილობრივი მონაწილეობა 2017	ბიზნეს საქმიანობა	ნაშთი 31.12.2017	შენატანი	ფონდზე მიკუთვნებადი მოგება (ზარალი)	გატანა	ნაშთი 31.12.2018
სს „თელასი“	24.5%	24.5%	თბილისში, სამრეწველო და სამომხმარებლო კლიენტებზე ელექტროენერგიის შესყიდვა და განაწილება	37,640	-	6,686	-	44,326
სს „ნენსკრა ჰიდრო“	6.99%	-	სვანეთში (საქართველო) ჰიდროელექტრო სადგურის განვითარება, მშენებლობა და მართვა	-	31,516	(1,524)	-	29,992
სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალ“	0%	50%	სასტუმროს მშენებლობა და მართვა	7,798	-	(1,140)	(6,658)	-
შპს „ლოპოტა“	0%	37.8%	სასტუმრო და სპა-კურორტი ლოპოტას ტბაზე	7,585	8,206	149	(15,940)	-
წინანდალი ისთეითსი	45.5%	45.5%	სასტუმრო და სპა -კურორტი სოფელ წინანდალში	5,764	18,754	(3,642)	-	20,876
სს „Panex”	49%	49%	სამშენებლო მასალების მრეწველობა	3,733	-	590	-	4,323
შპს „Vanric Agro”	49%	49%	ხილის ექსპორტი	3,265	-	-	-	3,265
შპს „იმერეთი გრინერი“	37.7%	37.7%	სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	2,412	-	(976)	(612)	824
„Gazzele Fund LP“	29.1%	29.1%	საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის წარმოდგენლობა საქართველოში	1,653	3,991	(644)	-	5,000
„Caucasus Clean Energy I, LLP“	10%	10%	საინვესტიციო ფონდი	648	2,919	-	-	3,567
შპს „Caucasian SUS Heritage”	49.9%	49.9%	ღორების ფერმა	-	552	-	-	552
				70,498	**65,938**	**(500)**	**(23,210)**	**112,726**

1-ელ შენიშვნაში წარმოდგენილი ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში რომლებიც ზემოთ არ არის განმარტებული, წარმოადგენს არა-აქტიურ კომპანიებს, ბიზნეს საქმიანობის გარეშე და არ ქმნიან არანაირი სახის შემოსავალს.

მიუხედავად იმისა, რომ ფონდი სს „Nenskra Hydro”-ს (საწარმო) ხმის მიცემის უფლების 20%-ზე ნაკლებს ფლობდა, ფონდის ხელძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწარმოს მმართველ ორგანოზე არსებითი წარმომადგენლობის გამო (საწარმოს საზედამხედველო საბჭო 6 წევრისგან შედგება, საიდანაც ოთხი K-water-ის მიერ და ორი წევრი ფონდის მიერ არის დანიშნული), ფონდს ჰქონდა ძალაუფლება საწარმოს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკების გადაწყვეტილებებში მიეღო მონაწილეობა და შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰქონდა უნარი მოეხდინა არსებითი ზეგავლენა საწარმოზე.

2018 წლის განმავლობაში, მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის 6,658 ლარიანი კლება, ასახავს ინვესტიციის მეკავშირე საწარმოში, სს “ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალში“ გადატანას ინვესტიციაში შვილობილ კომპანიაში (შპს „KMG Service Georgia“), შესაბამისად (იხილეთ შენიშვნა 9 (b)).

(a) ერთობლივი საწარმო

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“ ერთადერთი არსებითი ერთობლივი საწარმოა, რომელშიც მონაწილეობდა ფონდი. ის 2011 წელს დაფუძნდა ფონდისა და „KMG ჯგუფის“ (წარმოდგენილი შპპ „Kazmunaygas Service“ და შპს „KMG Service Georgia“-ს მიერ) მიერ, კურორტ ლიკანში მაღალი კლასის სასტუმროს მშენებლობის მიზნით, რომელსაც ამუშავებს სასტუმროების საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდი. სასტუმრო 2015 წელს გაიხსნა. ფონდი ფლობს უფლებას სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალის“ წმინდა აქტივებზე. შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდმა მის წილს სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალში“ ერთობლივი საწარმოს კლასიფიკაცია მიანიჭა.

2018 წელს, ფონდმა შპს „KMG Service Geogia“-ს (საწარმოსი, რომელიც სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალის“ აქციების 50%-ს ფლობდა) აქციების 100%-ი შეიძინა. მაშასადამე, ფონდი სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალის“ ერთადერთი აქციონერი გახდა (იხილეთ შენიშვნა 9 (b).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალის“ ფინანსური ინფორმაცია, რომელიც, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაშია მითითებული. ცხრილში შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია შედარებულია სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალში“ ფონდის წილის საბალანსო ღირებულებას.

’000 ლარი	2017-ით დასრულებული წელი
წილობრივი მონაწილეობა პროცენტებში	**50%**
გრძელვადიანი აქტივები	59,763
მიმდინარე აქტივები (ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ჩათვლით – 2017: 5,506 ათასი ლარი)	7,183
გრძლვადიანი ვალდებულებები	(26,415)
მიმდინარე ვალდებულებები	(19,659)
წმინდა აქტივები (100%)	20,872
წმინდა აქტივების ფონდის წილი (50%)	**10,436**
შემოსავალი	12,099
ზარალი და სულ სრული ზარალი (100%)	(4,500)
ფონდის ზარალის წილი და სულ სრული ზარალი	**(2,250)**

(ხ) მეკავშირე საწარმოები

2018 წლის 31 დეკემბერს ფონდს გააჩნია წილი თერთმეტ მეკავშირე საწარმოში - შპს „Vanric Agro“, სს „თელასი“, სს „Panex“, შპს „იმერეთი გრინერი“, შპს „წინანდალი ისთეითსი“, „Gazelle Fund LP“, შპს „იტონგ კავკასუს“, შპს „Caucasian SUS Heritage“ , შპს „ჯინო გრინ სითი კორპორაცია“, სს “Nenskra Hydro და „Caucasus Clean Energy I, LLP” (2017: შპს „Vanric Agro“, სს „თელასი“, სს „Panex“, შპს „იმერეთი გრინერი“, შპს „წინანდალი ისთეითსი, „Gazelle Fund LP“, შპს „ლოპოტა“, შპს „იტონგ კავკასუს“, შპს „ჯინო გრინ სითი კორპორაცია“ და „Caucasus Clean Energy I, LLP”). „თელასი“ ფონდის მნიშვნელოვან მეკავშირე საწარმოს წარმოადგენს.

სს „თელასის“ აქციების 24,53% ფონდს გადაეცა 2012 წლის 30 ივლისს საქართველოს მთავრობის მიერ კაპიტალში შენატანის სახით. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 27,548 ათასი ლარის ოდენობით აღიარებულია სს „თელასის“ წმინდა აქტივებში ფონდის წილის სახით, გადაცემის თარიღისთვის. სს „თელასი“ ჩართულია ელექტროენერგიის ყიდვასა და თბილისში სამეწარმეო და რეზიდენტ მომხმარებლებზე მის განაწილებაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს სს „თელასის“ ფინანსურ ინფორმაციას მისი საკუთარი ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად. ცხრილი ასევე ადარებს შეჯამებულ ფინანსურ ინფორმაციას სს „თელასში“ ფონდის წილის საბალანსო ღირებულებას.

’000 ლარი	2018	გადაანგარიშებული 2017
წილობრივი მონაწილეობა პროცენტებში	**24.53%**	**24.53%**
გრძელვადიანი აქტივები	265,407	238,687
მიმდინარე აქტივები	75,279	82,195
გრძელვადიანი ვალდებულებები	(41,121)	(44,238)
მიმდინარე ვალდებულებები	(118,928)	(123,261)
წმინდა აქტივები (100%)	180,637	153,383
ფონდის წმინდა აქტივების წილი (24.53%)	**44,310**	**37,625**
შემოსავალი	461,969	420,115
მოგება და სულ სრული შემოსავალი (100%)	27,254	22,124
ფონდი მოგებისა და მთლიანი სრული შემოსავლის წილის	**6,686**	**5,427**

11. საკრედიტო მოთხოვნები

’000 ლარი	2018	2017
გრძელვადიანი აქტივები		
საკრედიტო მოთხოვნა სახელმწიფოს კონტროლირებულ საწარმოს მიმართ	34,013	6,081
საკრედიტო მოთხოვნა მესამე მხარის მიმართ	1,241	500
სულ გრძელვადიანი	**35,254**	**6,581**
მიმდინარე აქტივები		
სახელმწიფოს კონტროლირებულ საწარმოს მიმართ საკრედიტო მოთხოვნის მოკლევადიანი წილი	7,977	1,661
მესამე მხარის მიმართ საკრედიტო მოთხოვნის მოკლევადიანი წილი	258	-
სულ მიმდინარე	**8,235**	**1,661**
	43,489	**8,242**

ფონდის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და საკრედიტო მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაუფასურების ზარალზე განხილულია მე-15 შენიშვნაში.

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2018	2017
საბანკო ნაშთები	93,583	255,159
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში და ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**93,583**	**255,159**

ფონდის საპროცენტო განაკვეთის რისკი და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

13. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ასევე ფონდის კრებებზე აქვთ ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

საქართველოს მთავრობის ბრძანებით, 2012 წლის 8 მაისს ფონდის სააქციო კაპიტალი განისაზღვრა 100.000.000 ჩვეულებრივი აქციით ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

(b) მესაკუთრის შენატანები

2018 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ, სააქციო კაპიტალის ზრდის სახით, 69,301 ათასი ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთების (საიდანაც 63,695 ათასი ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები თავდაპირველად, ფონდის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, კლასიფიცირებული იყო როგორც „საინვესტიციო ქონება“ და შემდგომ შპს „საპარტნიორო ფონდი გრინ დეველოპმენტში“ იქნა ინვესტირებული, იხილეთ შენიშვნა 9), 1,900 ათასი ლარის ოდენობით ფულადი სახსრების და 263 ათასი ლარის ღირებულების მოძრავი ქონების (2017: საქართველოს მთავრობამ 7,421 ათასი ლარის ბუნებრივი აირის მილსადენების, 313 ათასი ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთების და 334 ათასი ლარის მარაგების შენატანი განახორციელა) შენატანი განახორციელა, ფონდის კაპიტალში „მესაკუთრეთა შენატანების“ ზრდის სახით. 2017 წელს მთავრობამ ასევე ფონდის სააქციო კაპიტალში 6,470 ათასი ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთების და 38,540 ათასი ლარის ოდენობით ფულადი სახსრების სახით შენატანები განახორციელა (ფონდის კაპიტალში „მესაკუთრეთა შენატანების“ ზრდის სახით).

(c) განაწილებები აქციონერებზე

2017 წელს ფონდმა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს გადასცა ანაკლიაში (ზუგდიდი) მდებარე მიწის ნაკვეთები 10,301 ათასი ლარის ოდენობით. 2018 წელს კაპიტალის განაწილებები არ მომხდარა.

14. სესხები და კრედიტები

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას ფონდის ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული პროცენტის მატარებელი სესხების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია ფონდთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკის ზემოქმედების შესახებ წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.

’000 ლარი	2018	2017
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	-	225,521
შვილობილი კომპანიებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	34,205	30,147
	34,205	**255,668**
მიმდინარე ვალდებულებები		
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული უზრუნველყოფის გარეშე სესხების მიმდინარე წილი	239,220	120,899
	239,220	**120,899**

(a) სესხის დაფარვის ვადები და გრაფიკი

დაუფარავი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

				31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
’000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები							
„Credit Suisse“-სგან მიღებული სესხი უზრუნველყოფის გარეშე	აშშ დოლარი	Libor+5.95%	მოთხოვნამდე	239,220	239,220	346,420	346,420
შვილობილი კომპანიებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე:							
სს „საქართველოს რკინიგზა“	აშშ დოლარი	9.75%	2021	20,566	20,566	18,109	18,109
სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“	აშშ დოლარი	9.50%	2021	13,639	13,639	12,038	12,038
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				**273,425**	**273,425**	**376,567**	**376,567**

2015 წლის განმავლობაში ფონდმა მიიღო სესხი 150,000 ათასი აშშ დოლარის (ეკვივალენტი 360,705 ათასი ლარი) ოდენობით საერთაშორისო ბანკისგან „Credit Suisse“. სესხის მიზანი იყო არსებული სასესხო ვალდებულებების რეფინანსირება.

„Credit Suisse“-ისგან მიღებულ სესხთან დაკავშირებით, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების თანახმად, ფონდმა 1.2-ზე მაღალი „სესხის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი (Debt Service Coverage Ratio)“ და 3.5 ზე ნაკლები „მთლიანი წმინდა სესხის დივიდენდებთან “ლევერეჯ” შეფარდება (Leverage ratio of Total Net Debt to Dividends)“ უნდა შეინარჩუნოს. ხელშეკრულების თანახმად, არსებითი შვილობილი კომპანიის მიერ, ფონდისთვის ავანსად გადახდილი, ნებისმიერი ნებადართული ფინანსური დავალიანებიდან მიღებული და დაქვემდებარების პირობების დამაკმაყოფილებელი შემოსულობები შეიძლება, თანაფარდობის გამოთვლების მიზნით, „დივიდენდებში“ იქნას შეტანილი.

2018 წლის 31 დეკემრისთვის, „Credit Suisse“-ის სესხზე „სესხის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტთან“ დაკავშირებული ფინანსური პირობა იქნა დარღვეული. შედეგად, გამსესხებელს შეუძლია თანხის მოთხოვნისთანავე დაფარვა მოითხოვოს და ფონდმა, აღნიშნული სესხი, მოკლევადიანი კრედიტების კატეგორიაში შეიტანა. თუმცა, ხელმძღვანელობის მიერ მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, „Credit Suisse“-ს არ მოუთხოვია აღნიშნული ოდენობის დაფარვა.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ფინანსური ინსტიტუტებისგან და ფონდის შვილობილი კომპანიებისგან მიღებული, არაუზრუნველყოფილი სესხის საბალანსო ღირებულებები მათი სამართლიანი ღირებულებების გონივრულ მიახლოებას წარმოადგენს.

(b) აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება

’000 ლარი	სესხები და კრედიტები 2018	სესხები და კრედიტები 2017
ნაშთი 1 იანვარს	**376,567**	**422,256**
ამონაგები სესხებიდან	-	10,883
სესხების დაფარვა	(113,878)	(48,239)
გადახდილი პროცენტი	(30,502)	(28,886)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	**(144,380)**	**(66,242)**
საპროცენტო ხარჯი	31,753	32,282
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული გავლენა	9,485	(11,729)
	41,238	**20,553**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**273,425**	**376,567**

15. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისგან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას.

ფონდმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფონდის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებთან.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ფონდი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხ. 16 (c));
- ლიკვიდურობის რისკი (იხ 16 (d));
- საბაზრო რისკი (იხ 16 (e)).

მოცემული შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას ფონდის მიერ თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ რისკზე დაქვემდებარების, ფონდის ვალდებულებების, პოლიტიკებისა და რისკების შეფასებისა და მართვის პროცესების, ასევე ფონდის კაპიტალის მართვის შესახებ. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია განსაზღვრულია წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

ფონდის რისკების მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს ფონდის წინაშე მდგარი რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ლიმიტები და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ლიმიტების მკაცრად დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება, საბაზრო პირობებში და ფონდის საქმიანობაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით. მრავალმხრივი სასწავლო და მმართველობითი სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ფონდი მიზნად ისახავს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს გაცნობიერებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს აქვს პასუხისმგებლობა განსაზღვროს და განიხილოს ფონდის რისკების მართვის სტრუქტურა. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა ფონდის მიერ რისკების მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების დაცვას და მიმოიხილავს, ასევე რისკების მართვის სტრუქტურის შესაბამისობის უზრუნველყოფას, ფონდის წინაშე მდგომ რისკებთან მიმართებაში.

(c) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფონდის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ამგვარი რისკი ძირითადად წარმოეშვება ფონდის სასესხო მოთხოვნებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

(i) საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება უკავშირდება შემდეგს:

	შენიშვნა	საბალანსო ღირებულება	
’000 ლარი		2018	2017
საკრედიტო მოთხოვნები	11	43,489	8,242
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	93,583	255,159
დივიდენდის მოთხოვნები		3,234	-
		140,306	**263,401**

გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე აღიარებული მოგებასა ან ზარალში, არის შემდეგი.

’000 ლარი	2018	2017
გაუფასურების ზარალი საკრედიტო მოთხოვნებზე	(14,415)	-

(ii) საკრედიტო მოთხოვნები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდს დაკავშირებულ მხარეებზე აქვს გაცემული სესხები. სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდი, დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებთან მიმართებაში საკრედიტო რისკის არსებით ოდენობას არის დაქვემდებარებული. შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ საკრედიტო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 14,415 ათასი ლარით შეაფასა. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები (მთლიანი საბალანსო ღირებულებით 45,295 ათასი ლარი), კრედიტით გაუფასურებული „მესამე დონის“ ფინანსურ ინსტრუმენტებად იქნა კლასიფიცირებული.

ხელმძღვანელობამ სესხების გაუფასურება თითოეული იურიდიული პირის ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით შეაფასა. თითოეულ კომპანიას, მისი ფინანსური საქმიანობისა და მომავალი გადახდების პროგნოზების მიხედვით, საკუთარი დეფოლტის ალბათობა გააჩნია.

ფონდი, ზარალის რისკის საპროგნოზო მონაცემების მიხედვით (რომელიც მოიცავს გარე რეიტინგებს, აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ხელმძღვანელობის ანგარიშებს და ფულადი ნაკადების პროგნოზებს, ასევე კონტრაჰენტებზე ხელმისაწვდომ პრეს-ინფორმაციას), და მომხმარებლების ქცევასთან დაკავშირებით გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით, თითოეულ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკის ხარისხზე ანაწილებს. საკრედიტო რისკის ხარისხი, დეფოლტის რისკის საპროგნოზო და სააგენტოების გარე საკრედიტო რეიტინგის განმარტებებთან შესაბამებული, ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით განისაზღვრება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი თითოეული კონტრაჰენტისთვის, მათი ვადაგადაცილების სტატუსის, გარე საკრედიტო რეიტინგის, კონტრაჰენტის მიმდინარე პირობების და საკრედიტო მოთხოვნების მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადების განმავლობაში ეკონომიკური პირობების და მათი დაფარვის გზების ფონდისეული ხედვის მიხედვით გამოითვლება.

გაუფასურების ზარალი

’000 ლარი	2018
მთლიანი საბალანსო ღირებულება	57,904
ზარალის რეზერვი	(14,415)
	43,489

შესადარისი ინფორმაცია ბასს 39-ის მიხედვით

საკრედიტო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

’000 ლარი	2017
გრძელვადიანი (არა-ვადაგადაცილებული)	6,581
მიმდინარე (არა-ვადაგადაცილებული)	1,661
	8,242

საკრედიტო მოთხოვნები 2017 წლის 31 დეკემბერს, არ იყო არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული.

საკრედიტო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვის მოძრაობა

გაუფასურების რეზერვში საკრედიტო მოთხოვნებთან დაკავშირებული მოძრაობა წლის განმავლობაში იყო შემდეგი. 2017 წლის შესადარისი ოდენობები ასახავს რეზერვის ანგარიშს გაუფასურების ზარალისთვის ბასს 39-ის მიხედვით.

’000 ლა რი	2018	2017
ნაშთი 1 იანვარს ბასს 39-ის მიხედვით	-	-
კორექტირება ფასს 9-ის თავდაპირველ გამოყენებაზე	-	-
ნაშთი 1 იანვარს ფასს 9-ის მიხედვით	-	-
ზრდა წლის განმავლობაში	14,415	-
ნაშთი 31 დეკემბერს	**14,415**	**-**

(iii) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფონდს კარგი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებში აქვს განთავსებული. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, საბანკო ნაშთების დაახლოებით 99%-ი (2017 წლის 31 დეკემბერი: 99%) Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით B მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგის მქონე, საქართველოს ყველაზე დიდ ბანკებში აქვს განთავსებული. ნაშთები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთების გაუფასურება ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით და დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას ასახავს. ფონდი ითვალისწინებს, რომ მის ფულად ნაკადებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, კონტრაჰენტების გარე საკრედიტო რეიტინგების მიხედვით.

ფასს 9-ის თავდაპირველ გამოყენებაზე და ფონდის მიერ 2018 წლის განმავლობაში არ ყოფილა აღიარებული გაუფასურების რეზერვი.

ფონდი არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაჰენტი ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

(d) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ფონდს ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ფონდის ლიკვიდურობის მართვის მიდგომა უზრუნველყოფს შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან ფონდის რეპუტაციაზე ზიანის მიყენების გარეშე. ფონდის ლიკვიდურობის მართვა ასევე მოიცავს საკრედიტო ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვალდებულებების მონიტორინგს.

ლიკვიდურობის მოთხოვნების სამართავად, ფონდი აკეთებს მოკლევადიან პროგნოზებს ფულადი ნაკადებისთვის, შეფასებული ფინანსური საჭიროებების საფუძველზე, რომლებიც განისაზღვრება საოპერაციო საქმიანობების ხასიათით. ჩვეულებრივ, ფონდი უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე მუდმივად იქონიოს 60 დღის საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები. ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

დამატებით, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ ფონდის წმინდა მიმდინარე ვალდებულებების მდგომარეობის, (139,196 ათასი ლარი), (2017 წლის 31 დეკემბერი: 133,923 ათასი ლარის ოდენობით წმინდა მიმდინარე აქტივი) და წმინდა ზარალის შედეგების, (680,930 ათასი ლარი) (2017: წმინდა ზარალი 450,170 ათასი ლარი) ძირითადი გამომწვევი ფაქტორები შემდეგნაირად შეაფასა:

- 2018 წლის ბოლოსთვის, წმინდა მიმდინარე ვალდებულებების მდგომარეობა, წლის ბოლოს, სასესხო ხელშეკრულების პირობის დარღვევით იყო გამოწვეული, რამაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, Credit Suisse -ის მიმართ არსებული, მთლიანი სასესხო ნაშთის „მიმდინარე“ კატეგორიაში რეკლასიფიკაცია გამოიწვია (შენიშვნა 14);
- 2018 და 2017 წლებში, წმინდა ზარალის შედეგები, ძირითადად, „ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში“ (სს „საქართველოს რკინიგზა“), 718,127 ათასი ლარის და 315,680 ათასი ლარის ოდენობით აღიარებული გაუფასურებით იყო გამოწვეული (2018 და 2017 წლებში, შესაბამისად).

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე და შვილობილი კომპანიებიდან მოსალოდნელი დივიდენდის შემოსავლის გათვალისწინებით (ძირითადად სს „საქართველოს ნავთობისა და ბუნებრივი აირის კორპორაციისგან (GOGC)“ – 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით, GOGC -ს ფასს გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 484,734 ათას ლარს შეადგენდა) ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ფონდს, უახლოეს მომავალში არ შეექმნება სირთულეები მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებაში.

ლიკვიდურობის რისკზე დამოკიდებულება

ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხანდაზმულობას, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით და გამორიცხავს მათზე ურთიერთჩათვლის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2018	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები					
'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	0-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	239,220	239,220	239,220	-	-	-
შვილობილი კომპანიებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	34,205	42,919	-	-	42,919	-
სხვა ვალდებულებები	5,407	5,407	5,407			
	278,832	**287,546**	**244,627**	**-**	**42,919**	**-**

31 დეკემბერი 2017	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები					
'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	0-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	346,420	393,592	-	140,403	253,189	-
შვილობილი კომპანიებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	30,147	41,574	-	-	41,574	-
სხვა ვალდებულებები	2,882	2,882	2,882	-	-	-
	379,449	**438,048**	**2,882**	**140,403**	**294,763**	**-**

არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების მიხედვით ანალიზში შემავალი ფულადი ნაკადები შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვნად უფრო ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

(e) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფონდის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ფონდი არ იყენებს ჰეჯირებას მის მოგებასა ან ზარალში არასტაბილურობის სამართავად.

(i) სავალუტო რისკი

ფონდი დგას სავალუტო რისკის წინაშე, იმ მიზეზით, რომ მის მიერ გაცემული სესხები, მისი ფულადი ნაკადები და მათი ეკვივალენტები და სესხები ლარისგან განსხვავებულ ვალუტაშია გამოხატული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უპირატესად არის გამოხატული არის აშშ დოლარი (დოლარი).

სავალუტო რისკზე დამოკიდებულება

ფონდი განიცდის სავალუტო რისკების გავლენას შემდეგი ფორმით:

’000 ლა რი	აშშ დოლარში დენომინირებული 2018	აშშ დოლარში დენომინირებული 2017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	82,744	183,569
საკრედიტო მოთხოვნები	43,489	8,242
სესხები და კრედიტები	(273,425)	(376,567)
წმინდა დაქვემდებარება	**(147,192)**	**(184,756)**

წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		ანგარშიგების თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2018	2017	2018	2017
1 აშშ დოლარი	2.5345	2.5086	2.6766	2.5922

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო შესუსტება, როგორც ქვემოთ არის მითითებული, სხვა ვალუტებთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას იქონიებდა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე, კაპიტალზე და მოგებზე ან ზარალზე, ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე პირდაპირ გავლენას ადგილი არ ექნება. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები უცვლელი რჩება.

’000 ლარი	მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2018	
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	(14,719)
31 დეკემბერი 2017	
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	(18,476)

ლარის გამყარებას ზემოაღნიშნული ვალუტების მიმართ 31 დეკემბრისთვის იგივე, მაგრამ საპირისპირო ეფექტი ექნებოდა ზემოაღნიშნულ ვალუტებში ზემოთ მოცემულ თანხებზე იმ შემთხვევაში, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივი დარჩება.

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე, რადგან ეს იწვევს სესხის სამართლიანი ღირებულების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მომავალში ფულადი ნაკადების მოძრაობის (სესხი ცვლადი განაკვეთით) ცვლილებას. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის დასადგენად, ფონდის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი - ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა ახალი სესხის აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას ფონდის მმართველი გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება ფონდისთვის - ფიქსირებული თუ ცვლადი.

დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის რისკზე

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის ფონდის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2018	2017
ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	137,072	263,401
ფინანსური ვალდებულებები	(34,205)	(30,147)
	102,867	**233,254**
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(239,220)	(346,420)
	(239,220)	**(346,420)**

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებისთვის

ფონდი არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს როგორც სამართლიან ღირებულებას მოგებაში ან ზარალში ან როგორც სამართლიან ღირებულებას სხვა სრულ შემოსავალში. შესაბამისად, ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებისთვის

საანგარიშგებო თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთებში შესაძლო გონივრული 100 საბაზისო პუნქტით ცვლილება გაზრდიდა (შეამცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს, ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ეს ანალიზი მიიჩნევს, რომ სხვა ცვლადები, კერძოდ კი უცხოური ვალუტის კურსები, მუდმივი რჩება.

	მოგება ან ზარალი	
'000 ლარი	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება
2018		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(2,392)	2,392
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა	**(2,392)**	**2,392**
2017		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	(3,464)	3,464
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა	**(3,464)**	**3,464**

(f) კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის პროცესში ფონდის მიზანს წარმოადგენს ფონდის მიერ მოქმედი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების უნარის ხელშეწყობა, აქციონერებისთვის ამონაგების და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სარგებლის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად, ოპტიმალური კაპიტალური სტრუქტურის შენარჩუნება.

ფონდი თავის კაპიტალის სტრუქტურას მართავს და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით, ფონდმა შესაძლოა შეცვალოს შვილობილ კომპანიებში და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები, აქციონერებისათვის გადახდილი

დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები.

სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკა მოიცავს ძლიერი კაპიტალური ბაზის შექმნას ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მშობელი კომპანიის, კრედიტორის და ბაზრის ნდობა და შენარჩუნებულ იქნას ბიზნესის მომავალი განვითარება.

ფონდის ვალისა და კაპიტალის თანაფარდობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის იყო შემდეგი:

'000 ლარი	2018	2017
სულ ვალდებულებები	278,832	379,449
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(93,583)	(255,159)
წმინდა ვალი	**185,249**	**124,290**
სულ კაპიტალი	**1,508,830**	**2,116,773**
ნასესხები სახსრების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**0.12**	**0.06**

ფონდი სრულად სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოა და მისი ოპერაციები უმეტესად კაპიტალის დაფინანსების გზით ფინანსირდება.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვისადმი ფონდის მიდგომა არ შეცვლილა.

ფონდი არ წარმოადგენს გარედან დაწესებული კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

16. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული დაზღვევის მრავალი სახეობა, ზოგადად, ჯერ ხელმიუწვდომელია საქართველოსათვის. ფონდს სრულად არ აქვს დაზღვეული ძირითადი საშუალებები, ბიზნეს-საქმიანობის წყვეტა, ან ქონების და გარემოს დაზიანების გამო ვალდებულება მესამე მხარის მიმართ, რომელიც წარმოიშვება ფონდის საკუთრებაში ან მისი ოპერაციების შედეგად მომხდარი უბედური შემთხვევების საფუძველზე. სანამ ფონდი არ უზრუნველყოფს შესაფერის სადაზღვეო გარანტიებს, მუდამ იარსებებს რისკი იმისა, რომ კონკრეტული აქტივის განადგურებით ან დაკარგვით ფონდის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობას მიადგება სერიოზული ზიანი.

(b) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ფონდის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ვალდებულების მაქსიმალური რაოდენობა, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით; ასევე ხშირია აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევის წლის დასრულებიდან გასული იქნება სამი წელი.

ამ ვითარებებმა შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციების შესაბამისია. ამასთან საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ფონდისეული ინტერპრეტაციისგან და თუ საგადასახადო ორგანომ შესძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

17. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდი იმყოფება საქართველოს მთავრობის 100%-იან საკუთრებაში.

(b) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სხვა სარგებელში.

'000 ლარი	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	**719**	**676**

(c) ოპერაციები სახელმწიფოსთან დაკავშირებულ პირებთან

ფონდი მის ყოველდღიურ ოპერაციებს ახორციელებს რამდენიმე პირთან, რომლებსაც აკონტროლებს/ერთობლივად აკონტროლებს საქართველოს მთავრობა ან იმყოფება მისი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ფონდმა გამოიყენა ბასს 24-ის *(დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები)* გამონაკლისის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც სახელმწიფოსთან დაკავშირებულ პირებთან ოპერაციების შესახებ დაკავშირებულ მხარეთა შემცირებული განმარტებითი შენიშვნების წარდგენის საშუალებას იძლევა.

მნიშვნელოვანი ოპერაციები სახელმწიფო კონტროლის ან მისი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ პირებთან და ამგვარი ოპერაციების ნაშთები განხილულია ქვემოთ. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ყველა სხვა შემოსავლისა და ხარჯის, ასევე სახელმწიფოსთან დაკავშირებული პირების შესაბამისი ნაშთების ერთობლივი თანხები საანგარიშგებო თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი.

(i) სესხები

’000 ლარი	გარიგების ღირებულება		31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი ნაშთი	
	2018	2017	2018	2017
გაცემული სესხები:				
სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	47,917	-	41,990	7,742

’000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
შვილობილ კომპანიებზე გაცემული სესხები:							
სს“ზორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალ“	აშშ დოლარი	7%	2021	31,903	31,903	7,742	7,742
სს „Aerostructure Technologies Cyclone”	აშშ დოლარი	10.75%+ 6-თვიანი LIBOR	2023	10,087	10,087	-	-
				41,990	**41,990**	**7,742**	**7,742**

2018 წლის განმავლობაში, 2,337 ათასი ლარის ოდენობით საპროცენტო შემოსავალი (2017: 534 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა მოგებასა და ზარალში დაკავშირებული მხარეების სესხებთან მიმართებაში.

’000 ლარი	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2018	2017	2018	2017
მიღებული სესხები:				
შვილობილი კომპანიები	-	10,883	34,205	30,147

2018 წლის განმავლობაში, 3,076 ათასი ლარის ოდენობით საპროცენტო ხარჯი (2017: 2,018 ათასი ლარი) აღიარდა მოგებაში და ზარალში დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებთან მიმართებაში.

18. შეფასების საფუძველი

მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

(a) ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა ფასს 15-ის და ფასს 9-ის 2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებისა.

(b) ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ფონდის მიერ კონტროლირებად სტრუქტურულ ერთეულებს. ფონდი აკონტროლებს საწარმოს თუ მას აქვს შვილობილი კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც იწყება კონტროლი, ამ უკანასკნელის შეწყვეტის თარიღამდე.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(c) ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში)

ფონდის წილი ინვესტიციებში მეკავშირე საწარმოებში მოიცავს წილს მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში.

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენს საწარმოებს, რომლებზეც ფონდს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მაგრამ არ აქვს კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე. მნიშვნელოვან გავლენას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ფონდი ფლობს მეორე საწარმოს ხმის უფლების 20% და 50%. ერთობლივი საწარმო წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელშიც ფონდს აქვს ერთობლივი კონტროლის უფლება, როდესაც ფონდს აქვს უფლებები საწარმოს წმინდა აქტივებზე, და არა მის აქტივებსა და ვალდებულებებზე.

მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში წილები აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და ისინი თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით ან ინვესტიციის მიმღების ფონდის კუთვნილი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებით, რომელიც აღიარებულია მეკავშირე საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებში მისი შეძენის დღეს, თუ ამგვარი შეძენა მომდინარეობს საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოდან. ინვესტიციის ღირებულება მოიცავს გარიგების დანახარჯებს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფონდის წილს მოგებაში ან ზარალში და მეკავშირე კომპანიების სხვა სრულ შემოსავალში, მას შემდეგ რაც განხორციელდება ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკების ფონდის პოლიტიკებზე მოსარგებად, იმ თარიღიდან, როდესაც დაიწყება მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მნიშვნელოვანი გავლენის ან ერთობლივი კონტროლის შეწყვეტის თარიღამდე.

როდესაც ფონდის ზარალის წილი აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოებში, ამგვარი წილის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერი გრძელვადიანი ინვესტიციის ჩათვლით, შემცირდება ნულამდე და შემდგომი ზარალის აღიარება შეწყდება, გარდა შემთხვევისა, როდესაც ფონდს ექნება ვალდებულება ან განხორციელებული ექნება გადახდა ინვესტიციის ობიექტის სახელით.

(i) ერთობლივი ოპერაციები

ერთობლივი ოპერაცია წარმოადგენს თითოეული მეწარმის მიერ განხორციელებულ შეთანხმებას, მისი საკუთარი აქტივების გამოყენებით ერთობლივი ოპერაციების განხორციელების პროცესში. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს აქტივებს, რომლებსაც აკონტროლებს ფონდი და ვალდებულებებს, რომლებსაც ის გასწევს ერთობლივი საქმიანობის განხორციელების პროცესში, ასევე ხარჯებს, რომლებსაც გასწევს ფონდი და მისი შემოსავლის წილი, რომელსაც ის ერთობლივი ოპერაციიდან მიიღებს.

(d) შემოსავალი დივიდენდებიდან

დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როცა ფონდს განესაზღვრება თანხების მიღების უფლება.

(e) დანახარჯები

ხარჯები აღიარდება ფაქტიურ საფუძველზე, იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომლის განმავლობაშიც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა.

(f) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფონდის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე და საკრედიტო მოთხოვნებზე;
- საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე;
- გაუფასურების ზარალი სხვა ფინანსურ აქტივებზე;
- ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი გამოითვლება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის კრედიტით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის რომლებიც გაუფასურდა კრედიტით თავდაპირველი აღიარების შემდგომ, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის კრედიტით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის პრინციპს.

სასესხო ხარჯები რომლებიც არ არის პირდაპირ მიკუთვნებადი კვალიფიციური აქტივის შეძენაზე, მშენებლობასა ან წარმოებაზე მოგებასა ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით აღიარდება.

(g) *უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები*

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტირდება ლარში ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით ხდება.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღში კონვერტირდება ლარში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებზე საკურსო შემოსულობა ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში ლარში ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და შენატანებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელშიც კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(h) *დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები*

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულება ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და გადაიხდება შესაბამისი მომსახურების გაწევასთან ერთად. ვალდებულება აღიარდება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების საფუძველზე გადასახდელ თანხებად, თუ ფონდს აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქტიული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა დასაქმებულის მიერ გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად. ამგვარი ვალდებულება შესაძლოა სათანადო სიზუსტით იქნას შეფასებული.

(i) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მიმდინარე გადასახადი და გადავადებული გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებებს ან მოთხოვნებს წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, ისეთი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.
მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი. დივიდენდზე გადასახდელი გადასახადი ოდენობა გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების ოდენობის 15/85-ი.

საგადასახადო ანაზღაურება გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ასეთი ტიპის ტრანზაქციების დაბეგვრას მიიჩნევს ბასს 12-ის (მოგებიდან გადასახადები) ფარგლებს გარეთ და აღრიცხავს ასეთ ერთეულებზე გადასახადს როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა.

(j) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. აქციონერის მიერ შეტანილი ძირითადი საშუალებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება ფასს-ების მიღების თარიღში (2015 წლის 1 იანვარს) მოცემულ თარიღში მათი სამართლიან ღირებულებასთან მიმართებით განისაზღვრა („სავარაუდო ღირებულება“).

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომით და ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, ასევე ერთეულების დემონტაჟის, და ობიექტიდან გატანის ხარჯებს და იმ სამუშაო მოედნის აღდგენას, სადაც განთავსებულია ისინი, ასევე სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების განკარგვით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით გაყიდვიდან მიღებული ამონაგების შედარებით და მოგებაში ან ზარალში აღიარდება სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ფონდი მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებაზე ნარჩენი ღირებულების გამოკლების გზით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის მიხედვით, ძირითადი საშუალებების თითოეული შემადგენელი ნაწილის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან ის განსაკუთრებით დეტალურად ასახავს მომავალი ეკონომიკური

სარგებლის მოსალოდნელ მოხმარების ნიმუშს, რომელიც აქტივშია განივთებული. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთა დაირიცხება იჯარის ყველაზე მოკლე ვადის და მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სანამ გონივრულ ფარგლებში არ გახდება აშკარა, რომ ფონდი იჯარის ვადის ბოლოსთვის მასზე საკუთრების უფლებას მიიღებს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადები მიმდინარე და სრული პერიოდებისთვის არის შემდეგ:

- შენობა-ნაგებობები 15-50 წელი
- სხვა 2-10 წელი

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(k) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სასესხო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში. ყველა სხვა ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება როდესაც კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები – 2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ფონდი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და

- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს

ვალის ინვესტიცია აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასბეული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

საკეედიტო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზირებული ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად ნაშთებს, ვადიან ანაბრებს და მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს დაფარვის ვადით სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან, რომლებიც დაქვემდებარებულია სამართლიანი ღირებულების ცვლილებების არა არსებით რისკს. ვადიანი ანაბარი წარმოადგენს ვადიან ანაბრებს ბანკებში 3 თვეზე მეტი დაფარვის ვადით შეძენის თარიღიდან, მაგრამ რომლისთვისაც ფონდს აქვს ცალმხრივი უფლება რომ გამოიტანოს თანხები რამდენიმე დღის განმავლობაში შეტყობინების გაგზავნიდან მნიშვნელოვანი ჯარიმების ან პროცენტის დაკარგვის გარეშე.

მოცემული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, უცხოური გაცვლითი კურსის შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებასა ან ზარალში. აღიარების შეწყვეტისას წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე, ფონდი არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს შემდეგ კატეგორიებში აკლასიფიცირებდა: სესხები და მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ისინი იქნა შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები – კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით

და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, ფონდმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივი ჩამოიწერება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ფონდი ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ფონდი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ფონდი ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ფონდი ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;

თუ შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, ფონდი ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოგებისა ან ზარალის კორექტირებას მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირდება შეცვლილი ფინანსური აქტივის ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური

ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ფონდი იყენებს ფინანსური აქტივის სრული საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას ფონდი აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას მიმდინარე საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავ-განაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტების ანალოგიურად. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

ფონდი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა.

ფონდი ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- კონვერტაციის ფუნქციის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფონდი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, რომელშიც თითქმის ყველა რისკი და აქტივის ფლობის ანაზღაურება მოიაზრება, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

ფონდი დებს გარიგებებს რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ფონდი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ვადა გასდის, უქმდება ან თავისუფლდება. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულატი აქტივების და ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ფონდს აქვს მიმდინარე იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(l) კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოპციონების გამოშვებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ზრდადი ხარჯები აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

დაკავშირებულ და შვილობილ საწარმოებში წილების შენატანის გარდა, მესაკუთრეების არაფულადი შენატანების აღიარება ხდება შეტანილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გადავადებული გადასახადის გამოკლებით, შენატანის განხორციელების თარიღისთვის.

არაფულადი განაწილების აღიარება ხდება განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებით, თუ ამგვარი განაწილებები სცდება ფასიკ 17-ის (არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე) გამოყენების ფარგლებს.

(m) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ფონდი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე აღიარებს ზარალის რეზერვებს.

ფონდი აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

– ვალის უზრუნველყოფა რომელსაც სააღრიცხვო თარიღისთვის აქვს დაბალი საკრედიტო რისკი; და
– სხვა ვალის უზრუნველყოფა და საბანკო ნაშთები რომლისთვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან. ფინანსური ინსტრუმენტები რომლებისთვისაც 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, განიხილება როგორც „1-ლი დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები რომლებისთვისაც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, განიხილება როგორც „მე-2-ე დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები (თუ საკრედიტო რისკი არსებითად არის გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტები არ არის კრედიტით გაუფასურებული) და „მე-3-ე დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები (თუ ფინანსური ინსტრუმენტები კრედიტით არის გაუფასურებული).

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, ფონდი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ფონდის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ფონდი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ფონდი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

– არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ფონდის მიმართ, ფონდის მიერ უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
– ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია;.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც ფონდი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფონდი აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია კრედიტით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

– გამცემის ან მიმღების არსებითი ფინანსური სირთულეები;
– ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
– ფონდის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით რომლებსაც ფონდი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
– მოსალოდნელია მსესხებელის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაციის გამოყენება; ან
– ფინანსური სირთულეების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენა

ზარალის რეზერვები ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც ფონდს აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების იმედი. ფონდი ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ფონდი აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ფონდის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები – 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

ფინანსური აქტივები ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის განსასაზღვრად, არსებობდა თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი მიჩნეული იყო გაუფასურებულად თუ ობიექტური მტკიცებულება მიანიშნებდა იმაზე, რომ ზარალის შემთხვევა დამდგარია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ, და რომ ზარალის შემთხვევას ჰქონდა საიმედოდ შეფასებადი უარყოფითი გავლენა, აქტივის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავს შემდეგს:

- მევალის ვადაგადაცილება ან დეფოლტი;
- ფონდის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურიზაცია ისეთ პირობებზე, რომლებსაც ფონდი სხვაგვარად არ განიხილავდა;
- ნიშნები იმისა, რომ მოვალე ან ემიტენტი გაკოტრდება;
- მსესხებლების ან ემიტენტების გადახდის სტატუსის უარყოფითი ცვლილება ფონდში;
- ეკონომიკური პირობები რომელიც დეფოლტს უკავშირდება; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს შეფასებად კლებას მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ფინანსური აქტივების ჯგუფიდან.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ფონდი სესხების და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს, როგორც ცალკე, ასევე - აგრეგირებულ დონეზე. ყველა ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე მოთხოვნა მოწმდება სპეციფიკური გაუფასურების დადგენის კუთხით. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა მოთხოვნაზე, რომელზედაც კონკრეტული გაუფასურება ჯერ არ არის დადგენილი, ჯგუფურად ფასდება გაუფასურების ზარალის დასადგენად, რომელსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ჯერ არ არის იდენტიფიცირებული. ის სესხები და მოთხოვნები, რომელთაც ინდივიდუალური მნიშვნელობა არ გააჩნიათ, ფასდება კოლექტიურად, მსგავსი სარისკო მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფების გზით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასების დროს, ფონდი იყენებს წინა წლების გამოცდილებას, დეფოლტის ალბათობასთან, საეჭვო ვალებთან, მათი ამოღების ვადებთან და ზარალთან დაკავშირებულ ალბათობებს. ეს ალბათობები დაკორექტირდება ხელმძღვანელობის შეხედულებისამებრ, კერძოდ, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო მდგომარეობა ისეთი, რომ ფაქტიური ზარალი შესაძლოა ისტორიული მონაცემების მიხედვით შეფასებულ ოდენობაზე მეტი ან ნაკლები იყოს.

გაუფასურების ზარალი ფინანსური აქტივების შეფასებული ამორტიზირებადი ღირებულებით გაანგარიშდება, როგორც სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და მიმდინარე ღირებულებას შორის. მიმდინარე ღირებულება გამოიანგარიშება მომავალში მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და სარეზერვო ანგარიშზე აისახება. როდესაც ფონდი მიიჩნევს, რომ აღარ არსებობს აქტივის აღდგენის რეალური პერსპექტივა, შესაბამისი ოდენობები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივებზე პროცენტის დარიცხვა მიმდინარეობს დისკონტირებული თანხის მიმდინარე ნაწილის აღიარებით. როდესაც შემდგომი მოვლენები იწვევს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შემცირებას, და შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს მოვლენას რომელიც გაუფასურეის აღიარების შემდეგ მოხდა, მაშინ გაუფასურების ზარალის კლება აღდგენილია მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი გამოითვლება როგორც სხვაობა, ანგარიშგების კაპიტალის მეთოდის გამოყენების შემდეგ, მის საბალანსო ღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის.

მსგავსი ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული მისი გასაყიდი ღირებულება) შორის უდიდესს. ინვესტიციის გამოყენებითი ღირებულების განსაზღვრისას ფონდი აფასებს (a) სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებაში მის წილს, რომლის გენერირებაც მოსალოდნელია ინვესტიციის მიმღების მიერ, მათ შორის ფულადი ნაკადები ინვესტიციის მიმღების ოპერაციებიდან და ინვესტიციის საბოლოო განკარგვიდან მიღებული ამონაგები; ან (b) მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომლებიც წარმოიშვება ინვესტიციის ობიექტისგან მისაღები დივიდენდებიდან და მისი საბოლოო განკარგვიდან, იმის მიხედვით, ინვესტიციის თითოეულ ობიექტთან დაკავშირებული, რომელი ხელმისაწვდომი ინფორმაცია არის მეტად სანდო. გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციის ანაზღაურებადი თანხა შემდგომში გაიზრდება და შედეგად საბალანსო ღირებულება არ გადააჭარბებს კაპიტალის მეთოდის გამოყენების შემდეგ განსაზღვრულ საბალანსო ღირებულებას, და გაუფასურების ზარალი ადრე არ იქნება აღიარებული.

გაუფასურების ზარალის მოგებაში ან ზარალში აღიარება და მისი აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება სასიკეთო ცვლილებებს ანაზღაურებადი თანხის განსასაზღვრად გამოყენებულ შეფასებებში.

(i) არაფინანსური აქტივები

ფონდის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) განიხილება ყოველი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

ფონდის კორპორატიული აქტივები არ წარმოქმნიან ცალკეულ ფულად ნაკადებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები ნაწილდება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე როგორც იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილი რომელსაც მიეკუთვნება კორპორატიული აქტივი.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოდინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან (CGU).

გაუფასურების ზარალი აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აქტივების საბალანსო ღირებულებაზე წილობრივ საფუძველზე და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(n) დივიდენდები

დივიდენდები ჩვეულებრივ აქტივებზე აისახება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, მათი გამოცხადების პერიოდში.

20. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, კორექტირებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები რომლებიც 2019 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში. თუმცა ფონდს ჯერ არ ჰქონდა ეს ცვლილებები მიღებული მოცემული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. ფონდი გეგმავს მიიღოს მოცემული სტანდარტები მათი ძალაში შესვლისთანავე.

(a) ფასს 16 იჯარები

ფასს 16-ს შემოაქვს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით რაც ასახავს მის უფლებას გამოიყენოს ეს აქტივი და საიჯარო ვალდებულებას რაც ასახავს მის ვალდებულებას განახორციელოს საიჯარო გადახდები. არსებობს აღიარებისგან გათავისუფლებაც, მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე ერთეულებისთვის. მეიჯარეს ანგარიშგება რჩება მსგავსი მიმდინარე სტანდარტისა - ანუ მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.

ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს: ბასს 17 (იჯარები), ფასიკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას).

არ არის მოსალოდნელი, რომ თავდაპირველი გამოყენების პერიოდში, ფასს 16-ს ექნება არსებითი გავლენა ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(i) გადასვლა

ფონდი ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენებას 2019 წლის 1 იანვარს გეგმავს, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. მაშასადამე, ფასს 16-ის მიღები კუმულაციური გავლენა აღიარებულ იქნება როგორც გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის

კორექტირება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშების გარეშე.

გადასვლისას ფონდი გეგმავს იჯარის განმარტებაზე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას. ეს ნიშნავს, რომ კომპანია ფასს 16-ს ყველა ხელშეკრულებაზე გამოიყენებს, რომელიც დადებული იყო 2019 წლის 1 იანვრამდე და კლასიფიცირებული იყო როგორც იჯარები ბასს 17-ის და ფასიკ 4 -ის მიხედვით.

(b) სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები

არ არის მოსალოდნელი, რომ ქვემოთ მოყვანილ კორექტირებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს ექნებათ მნიშვნელოვანი გავლენა ფონდის ფინანსურ ანგარიშგებებზე:

- ფასიკ 23 გაურკვევლობა საგადასახადო მიდგომებში
- წინსწრების ფუნქციები უარყოფითი კომპენსაციით (ფასს 9-ის კორექტირებები)
- „გრძელვადიანი პროცენტები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ (ბასს 28-ის კორექტირებები);
- *გეგმის კორექტირება, შემცირება ან გაქვითვა (ბასს 19-ის კორექტირებები);*
- ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017 ციკლი - სხვადასხვა სტანდარტები;
- *კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.*
- *ფასს 17 სადაზღვეო ხელშეკრულებები;*
- *ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის კორექტირებები);*
- *არსებითის განმარტება (ბასს 1-ის და ბასს 8-ის კორექტირებები);*
- *ინვესტორსა და მის მეკავშირეს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან შენატანი (ფასს 10-ის და ბასს 28-ის კორექტირებები).*
- *საპროცენტო განაკვეთი ბენჩმარკ რეფორმა (ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7 კორექტირებები)*

21. შემდგომი მოვლენები

2019 წლის 15 ნოემბერს, საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება N2353, რომლითაც დასტურდება, რომ ჯგუფის საწარმო: სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ მისი ობლიგაციების რეფინანსირებაზე მუშაობას 2020 წელს დაიწყებს, ობლიგაციების გაცემის მოცულობის, 300 მილიონ აშშ დოლარამდე პოტენციური ზრდის ჩათვლით.

მილსადენების იჯარის ხელშეკრულება, ჯგუფის საწარმოს: სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-სა და სხვა, სახელმწიფოს მფლობელობის ქვეშ და ჯგუფის ფარგლებს გარეთ მყოფი საწარმოს: შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ (GGTC) შორის, განახლებას 2020 წლის 1 იანვრიდან ექვემდებარება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ იჯარა 2020 წლის 1 იანვრიდან განახლდება.

„გარდაბანი 2 კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის“ მშენებლობა 2019 წლის დეკემბერში დასრულდა და ფუნქციონირებს (ამჟამად სატესტო რეჟიმში).

2019 წლის ივლისი-აგვისტო პერიოდში ფონდმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შვილობილისგან - სს გაზისა და ნავთობის კორპორაცია - მიიღო დივიდენდი 60 მილიონი ლარის ოდენობით.

სს „საპარტნიორო ფონდი“
მმართველობითი ანგარიში
2018 წელი

ზოგადი ინფორმაცია ფონდის შესახებ

სს „საპარტნიორო ფონდი" (შემდგომში „ფონდი) არის სახელმწიფო საინვესტიციო კომპანია რომელიც დაარსდა 2011 წელს.

ფონდი არის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სააქციო საზოგადოება და იმართება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომლის თავმჯდომარე არის საქართველოს პრემიერ მინისტრი. აღნიშნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აგრეთვე არიან ოთხი მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები.

ფონდისათვის არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს მის მიზნებს, დაფინანსების პრინციპებს და წყაროებს, პროექტებში მონაწილეობის ფორმებს, კორპორატიულ მმართველობას და ანგარიშგებას.

ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო და გრძელვადიან თანადაფინანსებაში გამოისახება. იგი პასიური პარტნიორის როლში იღებს მონაწილეობას როგორც ე.წ. Greenfield (ახალი ბიზნეს ინიციატივები), ისე ე.წ. Brownfield პროექტებში (ინვესტიცია არსებულ ბიზნესში), წინასწარ განსაზღვრული გასვლის სტრატეგიით.

ფონდი ფლობს შემდეგ საწარმოებს, რომლებიც ადრე პირდაპირ სახელმწიფოს მფლობელობაში იყო:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100% წილი
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - 100% წილი

ფონდი ასევე ფლობს ინვესტიციას შემდეგ მეკავშირე საწარმოში:

- თელასი - 24.5% წილი

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“ მიღებული დივიდენდები წარმოადგენს ფონდის საინვესტიციო საქმიანობის მთავარ წყაროს. ფონდის წესდების და საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულების შესაბამისად, ფონდი ძირითადად საინვესტიციო საქმიანობას ახორციელებს როგორც არა-მაკონტროლებელი წილის მფლობელი ინვესტორი წინასწარ განსაზღვრული პროექტიდან გასვლის

სტრატეგიით, რაც ხშირ შემთხვევაში ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს შეადგენს. თუმცა ფონდი აგრეთვე ეწევა საინვესტიციო საქმიანობას როგორც მაკონტროლებელი წილის მფლობელი აქციონერი. ფონდისთვის მნიშვნელოვანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი პოტენციალით. მათ შორის შემდეგ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.

ფონდი ახორციელებს საკუთარი კაპიტალის მიწოდებას და ე.წ. Mezzanine-ის სახის ინსტრუმენტებში ინვესტირებას და რიგ შემთხვევებში, სუბორდინირებული სესხების გაცემას.

ფონდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში შემოსული ფულადი ნაკადები მოიცავდა შემდეგ ძირითად მუხლებს:

- „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“ მიღებული დივიდენდი - 77.1 მლნ ლარი (არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში)
- საპროცენტო და სხვა ფინანსური შემოსავალი - 10.7 მლნ ლარი

2018 წლის ფონდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2018 წლის ფონდის საინვესტიციო შემოსავალი შეადგენს 87.5 მლნ ლარს, ხოლო წმინდა ზარალი - 681 მლნ ლარს.

განვითარების გეგმები

ფონდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ფონდს გააჩნდა ერთი ძირითადი სესხი საინვესტიციო ბანკ Credit Suisse-ისგან (საწყისი ძირი თანხა 150 მლნ აშშ დოლარი). 2018 წლის ბოლოს, დარჩენილია 87 მლნ აშშ დოლარის ძირი.

ზემოაღნიშნული სესხის დასაფარად, ფონდს დარჩენილი აქვს ორი წელი (2019, 2020). 2019 წელს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“ მიღებულმა დივიდენდმა შეადგინა 60 მლნ ლარი. „საქართველოს რკინიგზიდან“ და სხვა საწარმოებიდან დივიდენდების მიღება მოკლევადიან პერიოდში არ იგეგმება.

ფონდი აქტიურად განიხილავს ზემოაღნიშნული სესხის რეფინანსირებას და დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიების შესაძლებლობებს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ბანკებთან და საქართველოს მთავრობასთან.

ფონდს დამატებითი სახსრების მოძიება ესაჭიროება პროექტების განსახორციელებლად. ფონდის დაგეგმილი პროექტების ნუსხა მოიცავს

ინვესტიციებს ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, წარმოების და ენერგეტიკის მიმართულებით. ფონდის მოლოდინია, რომ მოდევნო 5 წლის განმავლობაში წარმოების და ტურიზმის პროექტები გახდება ფონდისათვის პრიორიტეტული. ამჟამად, დაგეგმილი პროექტების ღირებულება (ფონდის წილი ინვესტიცია) შეადგენს დაახლოებით 100 მლნ აშშ დოლარს.

საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

ფონდის თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გააჩნდა და გააჩნია საკრედიტო რისკი. ეს არის ფონდი ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ფონდისათვის კუთვნილი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანიის მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა. ამ კუთხით არსებული რისკების გავლენის შემცირებას ხელს უწყობს საწარმოს განკარგულებაში დატოვებული ფინანსური სახსრები.

ფონდის გააჩნია სავალუტო ოპერაციები და იგი სენსიტიურია სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ. ფონდის ფულადი ნაკადები განთავსებულია მაღალი რეიტინგის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში, რაც ამცირებს ფულადი ნაკადების რისკებს.

ზემოაღნიშნული რისკების შესახებ და ზოგადად, ფონდის რისკის მართვის მექანიზმების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ ფონდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება (შენიშვნა N15), რომელიც გაიცა 2020 წლის იანვარში.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 17 იანვარს და ხელმოწერილია:

დავით საგანელიძე
აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი ციმაკურიძე
ფინანსური დეპარტამენტის
დირექტორი

ინვესტიციებს ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, წარმოების და ენერგეტიკის მიმართულებით. ფონდის მოლოდინია, რომ მოდევნო 5 წლის განმავლობაში წარმოების და ტურიზმის პროექტები გახდება ფონდისათვის პრიორიტეტული. ამჟამად, დაგეგმილი პროექტების ღირებულება (ფონდის წილი ინვესტიცია) შეადგენს დაახლოებით 100 მლნ აშშ დოლარს.

საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

ფონდის თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გააჩნდა და გააჩნია საკრედიტო რისკი. ეს არის ფონდი ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ფონდისათვის კუთვნილი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანიის მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა. ამ კუთხით არსებული რისკების გავლენის შემცირებას ხელს უწყობს საწარმოს განკარგულებაში დატოვებული ფინანსური სახსრები.

ფონდის გააჩნია სავალუტო ოპერაციები და იგი სენსიტიურია სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ. ფონდის ფულადი ნაკადები განთავსებულია მაღალი რეიტინგის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში, რაც ამცირებს ფულადი ნაკადების რისკებს.

ზემოაღნიშნული რისკების შესახებ და ზოგადად, ფონდის რისკის მართვის მექანიზმების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ ფონდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება (შენიშვნა N15), რომელიც გაიცა 2020 წლის იანვარში.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 17 იანვარს და ხელმოწერილია:

დავით საგანელიძე აღმასრულებელი დირექტორი	გიორგი ციმაკურიძე ფინანსური დეპარტამენტის დირექტორი